

საქართველო ევროპულ გზაზე:  
DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის  
იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა

# ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაზრდილი შესაძლებლობები და ევროკავშირის ერთიან ბაზარზე წვდომის პროცესში მცირე და საშუალო საწარმოების გამოწვევები

პროექტის მიგნებები და რეკომენდაციები სამომავლო მოქმედებისთვის

[www.GeorgiaDCFTA.ge](http://www.GeorgiaDCFTA.ge)



წინამდებარე პუბლიკაცია პროექტის - „საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა“ - ფარგლებში შეიქმნა, რომელიც 2017 წლის აპრილი-2019 ივლისი პერიოდში განხორციელდა. პროექტი მიზნად ისახავდა, ინფორმირებულობის დონის ამაღლებას იმ შესაძლებლობის შესახებ, რომელსაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება იძლევა. ამას გარდა, პროექტის მიზანი იყო, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) როლის გაზრდა ქვეყნის მასშტაბით DCFTA-ის/მცირე და საშუალო საწარმოების (SME) შესახებ მიმდინარე საკომუნიკაციო კამპანიებში; მათი შესაძლებლობების გაძლიერება, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მზადყოფნის ხელშესაწყობად, ევროკავშირის ერთიან ბაზარზე წვდომისთვის.

პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების კონსორციუმის მიერ „აღმოსავლეთ ევროპის კვლევითი ცენტრის“ (EESC, ლიტვა) ხელმძღვანელობით: საქართველოს „ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია“ (ABCO საქართველო), „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი“ (GIP, საქართველო), „გლობსეკის პოლიტიკის ინსტიტუტი“ (GPI, სლოვაკეთი), ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ (საქართველო), „ათინათი“ (საქართველო) და ასოციაცია „კავკასიის გენეტიკა“ (საქართველო).

**წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან პროექტის პარტნიორები და იგი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის პოზიციას.**

## სარჩევი

შესავალი .....	4
პროექტის შესაძლებლობები და მასშტაბი .....	6
სამიზნე ჯგუფების სტატუსკვო პროექტის დასაწყისში .....	9
ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები .....	9
მცირე და საშუალო საწარმოები .....	10
პროექტის გავლენა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე .....	12
კვლევის მეთოდოლოგია .....	13
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამოკითხვის შედეგები .....	14
ძირითადი მიგნებები .....	29
ქართული მცირე და საშუალო საწარმოების საექსპორტო პოტენციალის შეფასება .....	31
ევროკავშირთან ვაჭრობის საერთაშორისო გამოცდილება .....	32
საექსპორტო პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო საწარმოების გამოკითხვა .....	34
კვლევის მეთოდოლოგია .....	34
ძირითადი მიგნებები .....	47
ადგილობრივი და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოების მიგნებები .....	49
რეკომენდაციები სამომავლო მოქმედებისთვის .....	56

## **აბრევიატურები**

**AA** - ასოცირების შესახებ შეთანხმება

**APMA** - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

**BSO** - ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაცია

**CAC** - ცენტრალური საკონსულტაციო საბჭო

**CSO** - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია

**DCFTA** - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე

**EBRD** - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

**EU** - ევროკავშირი

**GEOSTAT** - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**HACCP** - საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა

**ICCs** - საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები

**IDPs** - იძულებით გადაადგილებული პირები

**ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

**LAC** - ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭო

**MEPA**- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

**SME** - მცირე და საშუალო საწარმოები

**TBT** - ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში

**VET**- პროფესიული განათლება და ტრენინგები

## შესავალი

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA), რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილია, ძალაში 2014 წლის პირველი სექტემბრიდან შევიდა და საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე შეთანხმებას წარმოადგენს. ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ თანამშრომლობის სხვა ფორმატებთან- მაგალითად, უვიზო მიმოსვლის რეჟიმთან - შედარებით DCFTA-ის მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა აქვს. ბიზნესის ზომა განაპირობებს იმას, თუ რა სისწრაფით შეუძლია მას სავაჭრო შეთანხმებით სარგებლობა. მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs), რომელიც პროექტის - „საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა“ - სამიზნე ჯგუფია, საქართველოში მოქმედი ბიზნესის 90%-ზე მეტს წარმოადგენს, თუმცა მათზე მთლიანი წარმოების მეხუთედზე ნაკლები მოდის და საკმაოდ სუსტი საექსპორტო პოტენციალით ხასიათდებიან. DCFTA-ისგან სარგებლის მისაღებად, მათმა პროდუქციამ, პირველ რიგში, ევროკავშირის ხარისხის სტანდარტები და უსაფრთხოების რეგულაციები უნდა დააკმაყოფილოს. ამის შემდეგ, მათ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შესვლის საუკეთესო გზა უნდა მოიძიონ.

პროექტის მიმდინარეობისას, ადგილობრივმა მცირე და საშუალო მენარმეებმა ისაუბრეს იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომლებიც DCFTA-ით განსაზღვრული შესაძლებლობების გამოყენებას ეხება. თუმცა, მათ ასევე გამოხატეს ინტერესი იმ შესაძლებლობების მიმართ, რომლებსაც სავაჭრო ხელშეკრულება იძლევა და როგორც საკუთარი პროდუქციის ხარისხის, ისე ლოჯისტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების სურვილი გამოთქვეს. მათ ასევე დაინტერესება გამოხატეს საკუთარი წარმოების რეგიონის ფარგლებს გარეთ - მაგალითად თბილისში, სადაც ფასები მაღალია -გაყიდვასა და პროდუქციის ექსპორტთან დაკავშირებით. პროექტში ჩართული მცირე და საშუალო მენარმეების უმრავლესობას ევროკავშირის ერთიანი ბაზარი არა მოკლე ვადაში მისაღწევ მიზნად, არამედ გრძელვადიან პერსპექტივად ესახებათ.

ამასთან, მონაწილეები, რომლებიც ბიზნესში ჩართულნი არ იყვნენ, ვერ აცნობიერებდნენ DCFTA-ის გავლენას საკუთარ ცხოვრებაზე მანამ, სანამ არ განემარტათ, რომ DCFTA მხოლოდ პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანას არ ისახავს მიზნად. ზოგადად, იგი ადგილობრივი წარმოების პროდუქტის, მათ შორის პროდუქტის, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე იყიდება, უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გულისხმობს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას, მაგალითად სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების დანერგვას, რაც პროდუქციის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და პირდაპირი და დადებითი გავლენა აქვს მომხმარებლის ჯანმრთელობაზე.

პროექტის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ აუცილებელია ადგილობრივმა მთავრობებმა და მუნიციპალიტეტებმა რეგიონებში მეტი ინფორმაცია მიიღონ არამხოლოდ DCFTA-ზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ შეუძლიათ ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის თავდაპირველი მიზანი DCFTA/SME სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის

ნაკლებობის პრობლემის აღმოფხვრა იყო, საქართველოს რეგიონებში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დახმარებით, გაირკვა, რომ ადგილობრივი მთავრობები და მუნიციპალიტეტებიც საჭიროებენ მეტ ინფორმაციას.

წარმოდგენილი კვლევა პროექტის - „საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა“ - ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტია. დოკუმენტი მიმოიხილავს განხორციელებულ ღონისძიებებს, თუმცა ყურადღებას ამახვილებს, პროექტის იმ შედეგის გაზომვაზე, რაც ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდას ითვალისწინებს DCFTA/SME სტრატეგიის იმპლემენტაციის მიმართულებით. კვლევაში შედარებულია, პროექტში ჩართული მცირე და საშუალო საწარმოების მზადყოფნის დონე ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის განსახორციელებლად პროექტის დასაწყისში (2017 წლის აპრილი) და პროექტის დასრულების შემდეგ (2019 წლის ივლისი).

დაბოლოს, კვლევაში წარმოდგენილია პროექტის განმახორციელებლების ძირითადი მიგნებები. ეს და მსგავსი პროექტები დაეხმარნენ ქართულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს DCFTA-ისთან დაკავშირებულ საკითხებზე სამუშაოდ საჭირო უნარების განვითარებაში. პროექტმა ასევე ხელი შეუწყო, ევროკავშირში ექსპორტის დაწყებასთან დაკავშირებული პროცედურებისა და არსებული მხრდამჭერი მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის ზრდას ქართულ მცირე და საშუალო საწარმოებს შორის. თუმცა, ამ მიმართულებით მეტი მუშაობაა საჭირო, რაც სამოქალაქო საზოგადოებასთან, ბიზნესთან, ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს. პროექტის განმახორციელებლები იმედოვნებენ, რომ წარმოდგენილი მიგნებები და რეკომენდაციები სასარგებლო იქნება სამომავლოდ აღნიშნულ სფეროში მუშაობის პროცესში.

## პროექტის შესაძლებლობები და მასშტაბი

2017 წლის ბაფხულში, პროექტის ფარგლებში მკვლევარებმა ჩაატარეს გამოკითხვა ქვეყნის მასშტაბით. კითხვარი მიზნად ისახავდა, ადგილობრივი SME-ების მზადყოფნის დონის შეფასებას, ევროკავშირის რეგულაციების დაკმაყოფილებისა და ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შესვლასთან მიმართებით. ამასთან, რადგან პროექტი DCFTA/SME სტრატეგიის განხორციელების პროცესში ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდასა და ქვეყნის მასშტაბით საკომუნიკაციო სტრატეგიების ჩასატარებლად მათ აქტიურ პარტნიორებად ჩამოყალიბებას ემსახურება, დამატებით კიდევ ერთი კვლევა ჩატარდა რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესასწავლად, DCFTA/SME-ისთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის მიმართულებით. კერძოდ, გამოკითხვაში შესწავლილია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინტერესები და შესაძლებლობები ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად, ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შესვლის პროცესში.

ორივე გამოკითხვა - მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევა - მოიცავდა საქართველოს ცხრავე რეგიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. ჯამში შესწავლილ იქნა **168 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია და 559 მცირე და საშუალო საწარმო 61 მუნიციპალიტეტში** - თითოეულ მუნიციპალიტეტში გამოკითხვა საშუალოდ სამი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია და ცხრა მცირე და საშუალო საწარმო. კვლევის შედეგები წარმოდგენილია პირველად კვლევაში<sup>1</sup>, რომლის საშუალებითაც მოხდა იმ მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების იდენტიფიცირება, რომლებიც შესაძლოა გახდნენ პარტნიორები და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ბენეფიციარები. ამასთან, DCFTA-ის საკომუნიკაციო სახელმძღვანელო<sup>2</sup> მომზადებისას უმნიშვნელოვანესი იყო ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობის შეფასება DCFTA-ისა და SME-ის საკითხებთან დაკავშირებით და იმის დადგენა, თუ რა უშლის ხელს ქართულ მცირე და საშუალო საწარმოებს ევროკავშირის ერთიან ბაზარზე წვდომაში.

სახელმძღვანელო გამოიყენებოდა DCFTA-ის თემის ირგვლივ ორგანიზებულ ტრენინგებში, რომლებიც ჩატარდა 2018 წლის მარტსა და აპრილში საქართველოს ყველა რეგიონში. რეგიონულ ცენტრებში, 153 რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის 10 ქალაქში ჯამში 10 ტრენინგი ჩატარდა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მიიღეს ყოვლისმომცველი ინფორმაცია საქართველოში DCFTA-ის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამასთან, მითითებები, თუ როგორ არის შესაძლებელი ადგილობრივი საზოგადოების ჩართვა და მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის შესაბამისი

<sup>1</sup> "Results of the DCFTA related mappings of Georgian SMEs and CSOs", Survey Results, ხელმისაწვდომია:

[http://georgiadcf.ta.ge/files/downloads/goew\\_-\\_survey\\_results\\_v7\\_](http://georgiadcf.ta.ge/files/downloads/goew_-_survey_results_v7_) წვდომის თარიღი 17.07.2019

[web.pdf?fbclid=IwAR2fXlvEBSbA\\_IL7BrJAK1dgD0bcNC781Q0c7J6X0t70uQ7yFTkyckzC0lw](http://web.pdf?fbclid=IwAR2fXlvEBSbA_IL7BrJAK1dgD0bcNC781Q0c7J6X0t70uQ7yFTkyckzC0lw)

<sup>2</sup> "Georgia's DCFTA Communication Toolkit. What is the DCFTA and how can Georgian SMEs access the EU single market?", Training Material, ხელმისაწვდომია: <http://georgiadcf.ta.ge>

[files/downloads/dcf.ta\\_toolkit\\_eng\\_version\\_fi nal.pdf](http://files/downloads/dcf.ta_toolkit_eng_version_fi nal.pdf) წვდომის თარიღი 17.07.2019

ინფორმაციის მიწოდება. ტრენინგის მონაწილეები ასევე გაეცნენ პროექტის **საგრანტო სქემას**, რაც მათ საშუალებას აძლევდათ მიეღოთ ფინანსური მხარდაჭერა საკუთარ თემში ისეთი აქტივობებისთვის, რომლებიც ხელს შეუწყობდა საქართველოში DCFTA/SME სტრატეგიის იმპლემენტაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის ღონისძიებების დაფინანსებას.

პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა თანამშრომლობის გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებას, ადგილობრივ ბიზნესსა და საჯარო მოხელეებს შორის, ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე. ამ მიზნით **შეიქმნა DCFTA-ის ადგილობრივი (LAC) და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოები (CAC)**. ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭო, ყველა რეგიონის მცირე და საშუალო საწარმოების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების შეხვედრებისთვის ჩამოყალიბებულ ფორმატს წარმოადგენს, რომელიც რეგულარულად იმართება მოცემულ რეგიონში მცირე და საშუალო მენარმეების წინაშე მდგარი გამოწვევების განსახილველად. ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოს თითოეულ შეხვედრაზე მონაწილეები განიხილავენ რეგიონში DCFTA/SME სტრატეგიის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ უახლეს მოვლენებს, აფასებენ პრობლემებსა და გამოწვევებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს და პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტის გზებს. ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრის შედეგები შემდგომ განიხილება ცენტრალურ საკონსულტაციო საბჭოზე, რომელიც წელიწადში სამჯერ თბილისში იმართება.

ცენტრალური საკონსულტაციო საბჭო არის ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოსა (თითოეული ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭო წარმოდგენილია ერთი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციითა და ერთი მცირე და საშუალო საწარმოთი) და საქართველოს იმ სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლებს შორის შეხვედრა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან DCFTA-ის განხორციელებაზე- მათ შორის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რეგიონული განვითარების სამინისტრო და საგარეო საქმეთა სამინისტრო. შეხვედრებზე წარმომადგენლები განიხილავენ რეგიონებში ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოს მიერ წარმოჭრილ პრობლემებს და მუშაობენ მათი გადაჭრის გზებზე. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის საკანონმდებლო ან ნორმატიულ ცვლილებებზე.

ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოსა და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოს შექმნის მიზანია, იარსებოს პირდაპირმა საკომუნიკაციო არხმა რეგიონებში მყოფ სპეციალისტებსა და დედაქალაქში იმ გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს შორის, რომლებიც ცენტრალურ დონეზე DCFTA-ის განხორციელებაზე არიან პასუხისმგებელი. პროექტის ფარგლებში, DCFTA-ის 10 ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა ცხრავე რეგიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. DCFTA-ის ერთი ცენტრალური საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა გადაწყვეტილების მიმღებთა დონეზე თბილისში. აღნიშნული საბჭოები წარმოადგენენ პროექტის ფარგლებში შექმნილ და ხელშეწყობილ მუდმივ სტრუქტურებს, რომელთა მუშაობა გაგრძელდება პროექტის დასრულების შემდგომაც.

ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრების პირველი ციკლი გაიმართა 2018 წლის მაისსა და ივნისში, რასაც მოყვა პირველი ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა 2018 წლის 12 ივნისს თბილისში. ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრების მეორე რაუნდი 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერში შედგა, ხოლო მეორე ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა გაიმართა 2018 წლის 30 ოქტომბერს. ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრების მესამე ციკლი 2019 წლის თებერვალსა და მარტში ჩატარდა, რასაც შემდგომ მოყვა ოთხი სექტორული შეხვედრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან შემდეგ სექტორებში: მეცხოველეობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა. ამ შეხვედრების შემდგომ, ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოს მესამე შეხვედრა გაიმართა 2019 წლის 6-7 მარტს თბილისში. ადგილობრივი და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრებიდან მიღებული შედეგები და რეკომენდაციები წარმოდგენილია წინამდებარე პუბლიკაციაში.

პროექტის სამიზნე ჯგუფიდან შერჩეულ წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია ლიეტუვისა და სლოვაკეთის გამოცდილების შესახებ. გამოცდილების გაზიარების მიზნით შედგა ორი სასწავლო ვიზიტი - **ლიეტუვასა** (2018 წლის 14-21 ოქტომბერი) და **სლოვაკეთში** (2018 წლის 11-17 ნოემბერი). თითოეულ სასწავლო ჯგუფი შედგებოდა 15 წარმომადგენლისგან - ქართული მცირე და საშუალო საწარმოებიდან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან და ადგილობრივი ადმინისტრაციიდან. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ ლიეტუვისა და სლოვაკეთის ევროკავშირში განვითარების გამოცდილება, მათი ეკონომიკური ტრანსფორმაცია და ის, თუ როგორ შეძლეს საკუთარი ბიზნესების მორგება ევროკავშირის ერთიანი ბაზრის სტანდარტებსა და რეგულაციებთან. მონაწილეები გაეცნენ, იმ გამოწვევებს, რომელთა გადალახვაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მცირე და საშუალო მეწარმეებს უწევდათ და ჰქონდათ შესაძლებლობა, შეხვედროდნენ ლიეტუვისა და სლოვაკეთის ბიზნესის იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც წარმატებით მოახერხეს ევროკავშირის ერთიანი ბაზარზე შესვლა. თითოეულმა მათგანმა ქართველ სტუმრებს საკუთარი „წარმატების ფორმულა“ გაუზიარა.

**საგრანტო სქემამ ხელი შეუწყო რეგიონულ დონეზე სამიზნე ჯგუფების მეტ ჩართულობას.** სქემამ საშუალება მისცა ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთაც DCFTA-ის ტრენინგებში მიიღეს მონაწილეობა, განაცხადი გაეკეთებინათ მცირე გრანტებზე საკუთარი პროექტებითა და იდეებით. შესაფერისი პროექტები ორი მიმართულების ქვეშ გაერთიანდა: 1) პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის მასშტაბით DCFTA-ის შესახებ საინფორმაციო კამპანიას; და 2) პროექტები, რომელთა საშუალებითაც კონსულტაცია გაეწევათ მცირე და საშუალო საწარმოებს ევროკავშირის ერთიანი ბაზარზე შესვლისთვის. ჯამში 60 გრანტი, თითოეული 1000 ევროს ოდენობით, თანაბრად გადანაწილდა, როგორც პირველ და მეორე მიმართულებებზე, ისე რეგიონული პრინციპით საქართველოს ცხრავე რეგიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. გრანტით დაფინანსებული პროექტები განხორციელდა 2018 წლის სექტემბრისა და 2019 წლის მარტის პერიოდში. შედეგად შედგა: 182 საკონსულტაციო შეხვედრა, 164 საინფორმაციო შეხვედრა და 87 ტრენინგი და სხვა ღონისძიება, რომელშიც ჩართული იყო 9000-ზე მეტი მონაწილე. ამასთან, სატელევიზიო და რადიო პროგრამებში, ასევე ბეჭდურ

მედიაში გაშუქებამ პროექტის დაფარვის ზონა გაზარდა. ჩვენი შეფასებით, ერთ მილიონზე მეტ მოქალაქეს მიეწოდა ინფორმაცია DCFTA-ისა და ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შესაძლებლობების შესახებ საქართველოში.

## სამიზნე ჯგუფების სტატუსკვო პროექტის დასაწყისში

### ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს რეგიონებში DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობის ზრდისა და მხარდაჭერის პროცესში წამყვანი პარტნიორები იყვნენ. პროექტის კონსორციუმში აღნიშნავს, რომ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, როგორც წესი, ახლოს არიან საკუთარ თემთან, და შესაბამისად, მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მიმდინარე პროცესებზე. ამდენად, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროექტის ღონისძიებებში, DCFTA-ით გათვალისწინებულ შესაძლებლობებზე ინფორმირებულობის დონის გაზრდისა და მთავრობაზე გავლენის მოხდენის მიზნით, რათა DCFTA-ის განხორციელებისთვის საუცილებელი რეფორმები გატარებულიყო.

ინიციატივა სამ პრიორიტეტულ მიმართულებაზე ამახვილებდა ყურადღებას: პირველი, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რაც მათ ხელს უწყობს ჩაერთონ DCFTA-ის განხორციელების ადვოკატირებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში; მეორე, DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გააზრებული და სტრუქტურული ჩართულობა; დაბოლოს, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდა საკუთარი, როგორც დამოუკიდებელი აქტორის, როლის უკეთ შესასრულებლად.

პროექტის მიზანი ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდა იყო იმისათვის, რომ მათ შეძლონ საქართველოში DCFTA/SME სტრატეგიის განხორციელების მხარდაჭერა. ამისათვის, კონსორციუმმა რიგი ღონისძიებები განახორციელა, მათ შორის ჩაატარა გამოკითხვა ქვეყნის მასშტაბით, იმისათვის, რომ მომხდარიყო რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება DCFTA-ის განხორციელებისა და განხორციელების პროცესში ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად. პირველი გამოკითხვის საშუალებით მოხდა იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების იდენტიფიცირება, რომლებიც პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების პარტნიორები და ბენეფიციარები გახდნენ. პირველი გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, კონსორციუმმა შეიმუშავა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პროექტის განხორციელების პროცესში ჩართულობის ხედვა.

პროექტის დასაწყისში, გამოკითხულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უმრავლესობამ DCFTA-ის განხორციელების პროგრამების

მიმართ დიდი ინტერესი გამოხატეს - გამოკითხულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 92%-მა აღნიშნა, რომ მათ სურთ DCFTA-ისთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისა და ტრენინგების მიღება და რომ სურვილი აქვთ იმუშაონ DCFTA-ისთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა, მაღალი მოტივაციის მიუხედავად, ამ ორგანიზაციების შესაძლებლობა, ხელი შეეწყოს საკუთარ რეგიონებში, DCFTA-ის განხორციელების პროცესისთვის, საკმაოდ შეზღუდული იყო. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უმეტესობამ აღნიშნა, რომ მათ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია DCFTA-ის განხორციელების მხარდასაჭერად სახელმწიფო სამსახურების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე.

ცნობიერების დაბალი დონე შესაძლოა აიხსნას იმით, რომ პროექტის დასაწყისში, იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დიდი ნაწილი, რომლებმაც ინტერესი გამოხატეს DCFTA-ის მიმართ, ეკონომიკურ საკითხებზე არ მუშაობდა. თუკი გამოკითხული ორგანიზაციების 17%-მა აღნიშნა, რომ მათი ერთ-ერთი მიმართულება ეკონომიკური განვითარება, ხოლო 16%-ისთვის სოფლის მეურნეობა იყო, ქვეყნის მასშტაბით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხოლოდ 5% იყო ჩართული DCFTA-ისა და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ პროექტებში. მხოლოდ 4% მუშაობდა ექსპორტის ხელშეწყობაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ გამოკითხული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხოლოდ 9%-მა აღნიშნა, რომ მათი სამიზნე ჯგუფები მცირე და საშუალო საწარმოები არიან. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უმეტესობას სურდა DCFTA-ისთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა, ბევრს დასჭირდა პროფილის შეცვლა და დამატებითი ტრენინგების გავლა იმისათვის, რომ წარმატებით ჩართულიყვნენ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტის ხელშეწყობის პროცესში.

ამასთან, შედეგების რეგიონულმა განაწილებამ, რეგიონებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები აჩვენა: ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში საკმაოდ ცოტა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია იყო (თითოეულის მაჩვენებელი მთლიანი მაჩვენებლის მხოლოდ 4%-ს შეადგენს), მაშინ როდესაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამეგრელო-ზემო სვანეთზე ერთად, წარმოდგენილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თითქმის ნახევარი (47%) მოდიოდა. მოგვიანებით ნათელი გახდა, რომ რაც მეტი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია იყო რეგიონში, მით უფრო მაღალი იყო სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონე DCFTA-ის განხორციელების პროცესში.

## **მცირე და საშუალო საწარმოები**

პროექტის დასაწყისში, მცირე და საშუალო საწარმოების გამოკითხვის შედეგად, განისაზღვრა საწარმოების პროფილები და მათი საექსპორტო სქემა. ასევე დადგინდა მათი მზადყოფნა, განახორციელონ საკუთარი პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ერთიან ბაზარზე. ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოების გამოკითხვამ გამოავლინა ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც აღნიშნული საწარმოები იდგნენ. გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების უმეტესობა ჯდება მცირე საწარმოს დეფინიციაში, რაც გულისხმობს რამდენიმე დასაქმებულ ადამიანს, მათ 74%-ს დასაქმებული ჰყავდა არაუმეტეს 15 ადამიანისა.

გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების უმეტესობა (44%) დარეგისტრირებული იყო, როგორც კოოპერატივი, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე, კოოპერატივები მნიშვნელოვნად იყო პოპულარიზებული/მხარდაჭერილი საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის მიერ.

მცირე და საშუალო საწარმოების მიერ წარმოებულ სხვადასხვა პროდუქციას ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შესვლის განსხვავებული შესაძლებლობები ჰქონდათ: თუ ზოგიერთი, უფრო პოპულარული პროდუქცია - მაგალითად ღვინო, ხილი და კენკრა - უკვე იყიდებოდა ევროკავშირის ერთიან ბაზარზე პროექტის დაწყებამდე, სხვას - მაგალითად რძის ნაწარმს - ექსპორტზე გატანის შესაძლებლობის განხილვამდე უნდა დაეკმაყოფილებინა წარმოებასთან დაკავშირებული ევროკავშირის მოთხოვნები. ევროკავშირის ერთიან ბაზარზე მხოლოდ 4 ცხოველური წარმოშობის პროდუქციის გატანაა შესაძლებელი, დანარჩენი აკრძალულია დაავადებისა და ვეტერინალური კონტროლის სათანადო სისტემის არარსებობის გამო.

გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების მხოლოდ 23%-ს გაჰქონდა საკუთარი პროდუქცია ექსპორტზე. მათ შორის, 42% სრულად ან ნაწილობრივ ყიდდა საკუთარ პროდუქციას ევროკავშირის ერთიანი ბაზრის ქვეყნებში, თუმცა ასეთი საწარმოების რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით დიდი არ იყო.

პროექტის საწყის ეტაპზე გამოკითხულმა მცირე და საშუალო საწარმოებმა ქართული პროდუქტის ევროკავშირში გაყიდვის მიმართულებით არსებული ბარიერები დაასახელეს: ევროკავშირში პარტნიორების სიმცირე; ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტისთვის აუცილებელ პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის არარსებობა; წარმოების არასაკმარისი მოცულობა; ექსპორტისთვის საკმარისი მოცულობის წარმოებისთვის რესურსების არარსებობა; და ევროკავშირში ექსპორტისთვის აუცილებელი ხარისხის სერტიფიცირების არქონა.

ცნობადობის დაბალი დონე ექსპორტის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, და განსაკუთრებით DCFTA-ისთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ქართული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ მცირე და საშუალო საწარმოების 57%-ს არ ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია ექსპორტის შესაძლებლობებთან დაკავშირებით და 38%-ს DCFTA-ისთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ინფორმირებულნი იყვნენ DCFTA-ის შესახებ, (65% ჯამში), შეთანხმების მიმართ დადებითად იყვნენ განწყობილნი.

559 გამოკითხული კომპანიიდან, მხოლოდ ერთი კომპანიის წარმომადგენელმა შეაფასა DCFTA უარყოფითად და რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა ინფორმაცია DCFTA-ისთან დაკავშირებით. დანარჩენებმა ვერ შეაფასეს DCFTA, ინფორმაციის ან ცოდნის არარსებობის გამო.

მცირე და საშუალო საწარმოები დადებითად იყვნენ განწყობილნი DCFTA-ის მიმართ, განსაკუთრებით კი - ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობასთან მიმართებით. გაყიდვების ზრდა, ევროკავშირის ერთიან ბაზარზე არსებული მაღალი ფასი, გამოცდილების მიღების შესაძლებლობა და

ახალი ტექნოლოგიების ათვისება იყო გამოკითხულ კომპანიებს შორის ყველაზე ხშირად აღნიშნული წამახალისებელი ფაქტორი.

## **პროექტის გავლენა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე**

კვლევის ამ ნაწილში წარმოდგენილია პროექტის გავლენის შეფასება იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, რომლებმაც პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ღონისძიებებში და ხელი შეუწვეს DCFTA/SME სტრატეგიის იმპლემენტაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. შეფასების მიზანს წარმოადგენდა პროექტის იმ ღონისძიებების გავლენის დადგენა, რომელიც მიმართული იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლის გაზრდაზე და პოლიტიკის კეთების პროცესში მათ ჩართვაზე, DCFTA/SME სტრატეგიის საკითხებთან მიმართებაში. აღნიშნული ღონისძიებების ძირითად მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება კვლევის, ადვოკატირების, მონიტორინგისა და საჯარო-კერძო დიალოგის პროცესში ჩართვის მიმართულებით.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შემდგომი გამოკითხვა ჩატარდა პროექტის ეფექტურობის, რელევანტურობისა და შედეგების მდგრადობის კომპონენტების შესაფასებლად; ხარისხობრივი და რაოდენობრივი შედეგების გასაზომად, პროექტის დასაწყისში შემუშავებული ინდიკატორების მიხედვით; ორგანიზაციული ზრდისთვის გამოცდილების დასაგროვებლად და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და პროექტის პარტნიორების შესაძლებლობების ასამაღლებლად.

გამოკითხვა მიზნად ისახავდა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ეფექტურობის შეფასებას შემდეგი მიმართულებებით: DCFTA-ის შესახებ ცნობიერების ამაღლება; გამოიყენეს თუ არა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების დროს შეძენილი ცოდნა და შეუძლიათ თუ არა მომავალში განაგრძონ DCFTA-ისთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა; იმ ტიპის მხარდაჭერისა და თანამშრომლობის იდენტიფიცირება, რაზეც საქართველოს მთავრობამ და დონორმა ორგანიზაციებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება DCFTA/SME სტრატეგიის განხორციელებისას.

**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამოკითხვა მიზნად ისახავდა შეფასებას შემდეგი მიმართულებებით:** ა) პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, რომელიც მიმართული იყო მათი შესაძლებლობების გაძლიერებისკენ; ბ) საზოგადოებრივი ცნობიერების კამპანიების მასშტაბი, რომელსაც ახორციელებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები DCFTA-ისთან დაკავშირებით საქართველოს რეგიონებში.

## კვლევის მეთოდოლოგია

ანგარიშის მოსამზადებლად გამოყენებულ მეთოდოლოგიაში გაერთიანებულია:

**გამოკითხვა:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრისას, 2019 წლის გაზაფხულზე, შეავსეს ღია და დახურული კითხვებისგან შემდგარი კითხვარი, პროექტის გავლენის შესაფასებლად. კითხვარი ელექტრონულად გაეგზავნა იმ ორგანიზაციებსაც, რომელთაც ვერ მოახერხეს ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოს სხდომებზე დასწრება. გამოკითხვა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით.

**შედარებითი ანალიზი:** მკვლევრებმა შეადარეს ახლადმიღებული ინფორმაცია პირველი გამოკითხვის შედეგებს, რომელიც 2017 წლის ზაფხულში ჩატარდა: მაგალითად, გასული ორი წლის განმავლობაში DCFTA-ის იმპლემენტაციის მხარდაჭერისა და განსაკუთრებით, იმპლემენტაციის პროცესში ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების მიმართულებით რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინტერესისა და შესაძლებლობების ზრდის დონე.

**საველე კვლევა:** ფოკუს-ჯგუფები და სამიზნე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე შეხვედრების ადგილზე დაკვირვება, ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების მიმდინარეობის პროცესში. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები.

**მეორადი კვლევა:** პროექტის არსებული დოკუმენტაციის სამაგიდო კვლევა, მაგალითად, პროექტის დასაწყისში შემუშავებული გამოკითხვის შედეგები, სასწავლო ვიზიტების შეფასების ანგარიშები, მონიტორინგის მონაცემები, ა.შ. პირველი გამოკითხვა, რომელიც აფასებს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების გავლენას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, წინამდებარე კვლევისთვის ათვლის წერტილს წარმოადგენს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი კითხვარი 11 კითხვისაგან შედგება და დაჯგუფებულია ორ ნაწილად: პირველი ნაწილი - ზოგადი ინფორმაცია ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ თავდაპირველი გამოკითხვის შედეგებთან შესადარებლად; მეორე ნაწილი - პროექტის გავლენის შეფასება. გამოკითხვაში მონაწილეობდა 52 ორგანიზაცია საქართველოს რეგიონებიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან. გამოყენებული იყო შერეული მეთოდები ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მნიშვნელოვანი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება შემდგომში ანალიზისა და რეკომენდაციების შემუშავებისას, შესაბამის მტკიცებულებად გამოყენების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი გამოკითხვის წარმომადგენლობითი შერჩევა სამკერ დიდი იყო და ფარავდა 168 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას. თავდაპირველი მიზანი რეგიონებში ამ ორგანიზაციების მოძებნა და ეკონომიკურ საკითხებზე მათი ცნობიერებისა და შესაძლებლობების დადგენა იყო, DCFTA-ის საკითხებზე მუშაობისა და მცირე და საშუალო საწარმოებისა და ოფიციალური პირების ჩართვის თვალსაზრისით. შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩატარდა ტრენინგები იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის,


რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ და ჰქონდათ DCFTA/SME სტრატეგიის იმპლემენტაციაზე მუშაობის პოტენციალი, იმისათვის რომ კიდევ უფრო მეტად გაეუმჯობესებინათ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები. გამოკითხული 168 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან, ნახევარზე ნაკლები იყო ჩართული პროექტის აქტივობებში და 52 ორგანიზაციის საფუძველზე, გახდა შესაძლებელი მეორე გამოკითხვისთვის სათანადო ინფორმაციის მოპოვება. როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო გამოკითხვა აფასებს პროექტის გავლენას ქართულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე და იძლევა რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობას შემდგომი რეაგირებისთვის, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მეტი ჩართულობის მიმართულებით AA/DCFTA განხორციელების პროცესში.

## **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამოკითხვის შედეგები**


### **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტივობების სამიზნე ჯგუფები**

თავდაპირველი გამოკითხვის მსგავსად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ვთხოვეთ განესაზღვრათ საკუთარი სამიზნე ჯგუფები. მათ ერთზე მეტი სამიზნე ჯგუფი დაასახელეს. მთავარი ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ გამოკითხული ორგანიზაციების 20%-მა საკუთარ სამიზნე ჯგუფში მცირე და საშუალო საწარმოებიც ახსენა, ეს მაშინ, როდესაც პროექტის დასაწყისში, გამოკითხული ორგანიზაციების მხოლოდ 9% მუშაობდა მცირე და საშუალო საწარმოებთან. ასევე მცირე ზრდა ფიქსირდება იმ ორგანიზაციების რიცხვში, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მუშაობენ - 2017 წელს 14%-იდან 2019 წელს ეს რიცხვი 18%-მდე გაიზარდა. ცვლილებებია აგრობიზნესის მიმართ ამ ორგანიზაციების დამოკიდებულების თვალსაზრისითაც - ეს მაჩვენებელი 2017 წელს 8%-დან 2019 წელს 13%-მდე გაიზარდა. აღნიშნული სეგმენტები მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე DCFTA-ის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი რეფორმების მხარდასაჭერად. შესაბამისად, თუ 2017 წელს DCFTA-ის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული სამიზნე ჯგუფები (მცირე და საშუალო საწარმოები, თვითმმართველობის ორგანოები და აგრობიზნესები) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხოლოდ 31%-ის ინტერესის საგანს წარმოადგენდა, 2019 წელს აღნიშნული ინდიკატორი 52%-მდე გაიზარდა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის (25%) ყველაზე პოპულარული სამიზნე ჯგუფი კვლავ ახალგაზრდობაა. გამოკითხული ორგანიზაციების 10%-სთვის, ძირითადი სამიზნე ჯგუფი ეთნიკური უმცირესობაა; 7% ყურადღებას იძულებით გადაადგილებულ პირებზე ამახვილებს; 5% კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობს. გამოკითხული ორგანიზაციების 2%-მა საკუთარი ინტერესის სფეროდ სხვა სამიზნე ჯგუფი, მაგალითად ქალები, დაასახელა (იხილეთ დიაგრამა #1 და #2).

დიაგრამა #1: სამოქალაქო საზოგადოების აქტივობების სამიზნე ჯგუფები, გაზაფხული 2019წ.



დიაგრამა #2: სამოქალაქო საზოგადოების აქტივობების სამიზნე ჯგუფები, ზაფხული 2017წ.




### აქტივობების მიმართულებები


მნიშვნელოვანად გაიზარდა იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან და მუშაობენ DCFTA-ისთან დაკავშირებულ საკითხებზე. კერძოდ, 52 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან 31 (29%) მუშაობს DCFTA-ის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მაშინ როდესაც 2017 წელს გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 168 რესპონდენტიდან მხოლოდ 15 (5%) მუშაობდა ამ მიმართულებით. ბოლო გამოკითხვის მიხედვით, სოფლის მეურნეობაზე გამოკითხული ორგანიზაციების 21%, ხოლო ეკონომიკურ განვითარებაზე 20% მუშაობს - მცირედი 5%-ანი და 3%-ანი ზრდა, 2017 წლის შესაბამის მონაცემებთან შედარებით. ორგანიზაციები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ბოლო გამოკითხვებში, მუშაობენ სურსათის უვნებლობისა (12%) და ექსპორტის ხელშეწყობის (8%) მიმართულებით, რაც 2017

წლის კვლევასთან შედარებით მცირედ ზრდას წარმოადგენს - 7% და 4% შესაბამისად. სხვა მიმართულებები, რაზეც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მუშაობენ ფარავს საგანმანათლებლო და სოციალურ საკითხებს. ბევრი ორგანიზაცია რამდენიმე მიმართულებით ერთდროულად მუშაობს და გამოკითხვამ რესპონდენტებს შესაძლებლობა მისცა ამ კითხვაზე რამდენიმე პასუხი აერჩიათ. ციფრები საკმაოდ იმედის მომცემია რეგიონებში DCFTA-ის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების ინტერესის, ცნობიერების ამაღლების, სურსათის უვნებლობისა და ექსპორტის ხელშეწყობის წახალისების მიმართულებით (იხილეთ დიაგრამა #3 და #4).

დიაგრამა #3: ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტივობების მიმართულებები, გაზაფხული 2019



დიაგრამა #4: ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტივობების მიმართულებები, ზაფხული 2017




**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ DCFTA-ის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის გამოყენებული საკომუნიკაციო ფორმები**

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაში ნაჩვენებია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო საშუალებები მიზნობრივ ჯგუფებში DCFTA-ისთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებისათვის. გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საკუთარ მიზნობრივ ჯგუფებთან სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით, ხშირ შემთხვევაში რამდენიმე საშუალების კომბინაციით, ამყარებენ კომუნიკაციას. კონსულტაცია ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა (გამოკითხული ორგანიზაციების 36%), შემდეგ მოდის ტრენინგები (34%) და პუბლიკაციები (25%). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ნახსენები სხვა საკომუნიკაციო ფორმებია: ვებ გვერდები, სოციალური მედია და ინფორმაციული შეხვედრები (იხილეთ დიაგრამა #5).

ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების დროს, ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათი საინფორმაციო კამპანიები ასევე მოიცავდა პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რა დროსაც ადილობრივი მწარმოებლები და საჯარო მოხელეები ეცნობიან არამხოლოდ DCFTA-ით გათვალისწინებულ შესაძლებლობებს, არამედ იღებენ პრაქტიკულ ცოდნას ბიზნეს შეთავაზების დაწერასა და ქართველი მწარმოებლების ევროკავშირის ბაზარზე წვდომის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მათ ასევე აღნიშნეს, რომ DCFTA-ის შესახებ კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის, მნიშვნელოვანია თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის ინდივიდუალური ნარატივის მორგება.


დიაგრამა #5 გამოკითხული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო საშუალებები




**პროექტის გავლენა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცნობიერებაზე DCFTA-ისთან დაკავშირებით**

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევა მიზნად ისახავდა პროექტის გავლენის შეფასებას, ცნობიერების ამაღლების დონეზე DCFTA-ისთან დაკავშირებით. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პროექტის დაწყების შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცნობიერება DCFTA-ისთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. გამოკითხული ორგანიზაციების 71% აცხადებს, რომ პროექტის დაწყებამდე ისინი „გარკვეულწილად ფლობდნენ ინფორმაციას“ DCFTA-ის შესახებ; ორგანიზაციების 17% საერთოდ არ ფლობდა ინფორმაციას და მხოლოდ 12% იყო „კარგად გათვითცნობიერებული“მის შესახებ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უდიდესმა ნაწილმა (83%) აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობის შემდეგ, მათი ცოდნა DCFTA-ის შესახებ „ძალიან“ გაიზარდა (იხილეთ დიაგრამა #6 და #7).

დიაგრამა #6: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცნობიერების დონე DCFTA-ისთან დაკავშირებით პროექტის დაწყებამდე



დიაგრამა #7: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცნობიერების დონე DCFTA-ისთან დაკავშირებით პროექტის დასრულების შემდეგ




**პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ეფექტურობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიხედვით**

კვლევაში გამოკითხულ ორგანიზაციებს ვთხოვეთ, შეეფასებინათ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, განსაკუთრებით მათი ეფექტურობა DCFTA-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და DCFTA/SME სტრატეგიის იმპლემენტაციის უკეთ ხელშეწყობის თვალსაზრისით. როგორც ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაში ჩანს, **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები ძალიან ეფექტური ან ეფექტური იყო.** კერძოდ, გამოკითხული ორგანიზაციების 63% აღნიშნავს, რომ DCFTA-ს შესახებ ჩატარებული ტრენინგები ძალიან ეფექტური იყო, ხოლო 37% ტრენინგებს ეფექტურად აფასებს; 69%-ს მიაჩნია, რომ DCFTA-ის საკომუნიკაციო სახელმძღვანელო ძალიან ეფექტური, ხოლო 31%-ის აზრით ეფექტური იყო. სამოქალაქო საზოგადოების ის ორგანიზაციები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სასწავლო ვიზიტებში ლიეტუვასა და სლოვაკეთში, ღონისძიებას ძალიან ეფექტურად (65%) და ეფექტურად (35%) აფასებენ. ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრები ძალიან ეფექტურად შეფასდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 50%-ის და ეფექტურად შეფასდა დარჩენილი 50%-ის მიერ. მხოლოდ ერთადერთი ღონისძიება - სექტორული შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის - შეფასდა, როგორც ნაკლებად ეფექტური აქტივობა (იხილეთ დიაგრამა #8).

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს დაგუსვით კითხვა: თუკი პროექტის ფარგლებში ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე აქტივობაში მიიღეთ მონაწილეობა, შეაფასეთ რამდენად ეფექტური იყო ის.


დიაგრამა #8. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ პროექტის შეფასება



გამოკითხვასთან ერთად, პროექტის მონაწილეებს ვთხოვეთ შეეფასებინათ კითხვარები. DCFTA-ის შესახებ ტრენინგის შესახებ რომელიც DCFTA-ის საკომუნიკაციო სახელმძღვანელოს ეფუძნებოდა, საქართველოს ცხრა რეგიონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 153 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის გამოცდილებას ითვალისწინებდა, კითხვარები შეივსო ტრენინგის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდგომ. მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ **DCFTA-ის შესახებ ჩატარებულმა ტრენინგებმა მნიშვნელოვანი წარმატებას მიაღწია, რადგან იმ ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთა ცნობიერების დონე DCFTA-ისთან დაკავშირებით ამოღლდა, გაიზარდა 34%-დან 95%-მდე.** ტრენინგის დასაწყისში, მონაწილეების 34% აცხადებდა, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია DCFTA-ის შესახებ და 14%-ს მიაჩნდა, რომ მათ არაფერი იცოდნენ შეთანხმების თაობაზე. ტრენინგის დასრულების შემდგომ, 95% ამბობდა, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია DCFTA-ის შესახებ, 3.5%-ის თქმით, მათ ნაწილობრივ მიიღეს ინფორმაცია, ხოლო 1.8%-ის განცხადებით, მათ უკვე იცოდნენ ის ინფორმაცია, რაც ტრენინგზე გაუღებდა. ქვემოთ მოყვანილი გრაფებში ასახულია კითხვარის პასუხები და ნაჩვენებია ცვლილებები DCFTA-ის შესახებ ცნობიერების დონეზე თითოეულ რეგიონში (დიაგრამა #9 და #10).


დიაგრამა #9. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცნობიერების დონე DCFTA-ის შესახებ ტრენინგის დაწყებამდე.

გაქვთ ინფორმაცია DCFTA-ს შესახებ? (ტრენინგის დაწყებამდე).



დიაგრამა #10. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცნობიერების დონე DCFTA-ის შესახებ ტრენინგის დასრულების შემდეგ.


გაქვთ ინფორმაცია DCFTA-ის შესახებ? (ტრენინგის დასრულების შემდეგ).



ამასთან, ტრენინგის მონაწილეების უმრავლესობამ მიღებული ინფორმაცია საკუთარი აქტივობებისთვის საჭირო ინფორმაციად შეაფასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებისთვის ახლად მიღებული ინფორმაციის გაზიარების ინტერესი გამოხატა (იხილეთ დიაგრამა #11 და #12).


დიაგრამა #11. DCFTA-ის ტრენინგების შეფასება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან.

ფიქრობთ, რომ ტრენინგზე მიღებული ინფორმაცია და ცოდნა საჭიროა თქვენთვის და თქვენი შემდგომი საქმიანობისთვის?



დიაგრამა #12. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაინტერესება მიღებული ცოდნის გაზიარების მიმართ.

ისურვებდით თუ არა მიღებული ინფორმაციის გავრცელებას დაინტერესებულ მხარეებთან?



ლიეტუვასა და სლოვაკეთში განხორციელებული სასწავლო ვიზიტის შეფასების ფორმაში, მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი მოლოდინები სრულად გამართლდა და სასწავლო ვიზიტები მათ დაეხმარათ DCFTA/SME სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესში უფრო მეტად ჩართულიყვნენ. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, სასწავლო ვიზიტი ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი იყო. მეორე მონაწილემ აღნიშნა, რომ ლიეტუვის გამოცდილებამ “სახელწმიფოს მხრიდან ბიზნესის ხელშეწყობის მექანიზმების შესახებ მოლოდინებს გადააჭარბა“. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოხატეს მზადყოფნა, იმუშაონ ადგილობრივ მცირე და საშუალო საწარმოებთან, სასწავლო ვიზიტების დროს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად. რაც ადგილობრივ რადიო პროგრამებში მონაწილეობითა და სასწავლო ვიზიტის შესახებ მათი შთაბეჭდილებების გაზიარებით გამოიხატებოდა. ამასთან, ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრების დროს, სამოქალაქო საზოგადოებისა და მცირე და საშუალო საწარმოების იმ წარმომადგენლებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სასწავლო ვიზიტებში, საბჭოს ლიეტუვისა და სლოვაკეთის მაგალითებზე დაყრდნობით, არსებული პრობლემის გადაჭრის გზები შესთავაზეს.

**DCFTA-ის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტივობები**

გამოკითხული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 76% აღნიშნავს, რომ მათ უკვე გამოიყენეს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების დროს მიღებული ცოდნა. მათ მიერ განხორციელებული პროექტების უმრავლესობა პროექტის საგრანტო კომპონენტის მხარდაჭერით განხორციელდა. სხვა

აქტივობები კი თვითონ ამ ორგანიზაციების ან სხვა დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

ამ პროექტის ფარგლებში გაიცა 60 გრანტი, თითოეული 1000 ევროს ოდენობით. გრანტის მიმღებთა ნახევარი DCFTA-ის საინფორმაციო კამპანიაზე ქვეყნის მასშტაბით, ხოლო მეორე ნახევარი მცირე და საშუალო საწარმოებისა და საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობდა. 60 გრანტის მიმღებთაგან, 42-მა მონაწილეობა მიიღო DCFTA-ის შესახებ ტრენინგებში. თუმცა, ტრენინგებში მონაწილეობა სავალდებულო არ ყოფილა. მთავარი კრიტერიუმი იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობა, ცოდნა გაეზიარებინათ საზოგადოებისთვის ან/და მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებისთვისა და საჯარო მოხელეებისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო აქტივობების ტიპი და პროექტის მასშტაბი, რადგან პროექტის მიზანია აქტივობების მხარდაჭერა მთელი საქართველოს, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით. მიღებული განცხადებების ხარისხი დაბალი იყო, მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციამ შეძლო კარგად შემუშავებული საპროექტო წინადადების წარმოდგენა, რამაც ნათლად გამოხატა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცოდნის დონე DCFTA-ის შესახებ და მათი შესაძლებლობა დაგეგმონ, როგორც პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები, ისე მოსალოდნელი შედეგები. გრანტის მიმღებთა უმრავლესობას დაგეგმილი აქტივობების, სამიზნე ჯგუფებისა და მოსალოდნელი შედეგების დასაბუთებლად დახმარება დასჭირდა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის საგრანტო კომპონენტის ძირითადი შედეგები:


- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს DCFTA-ის შესახებ ჩატარებული ტრენინგებიდან მიღებული გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა მიეცათ; აქტივობების განსახორციელებლად დახმარება გაეწიათ იმ იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსაც, რომლებიც ტრენინგებს არ დასწრებიან.
- საქართველოს რეგიონებში ახალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შეიქმნა - იმ ადამიანებმა, რომლებმაც პროექტის მიმდინარეობისას მიიღეს ინფორმაცია, ინტერესი გამოხატეს ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ DCFTA-ის საკომუნიკაციო კამპანიაში ჩართულობას და იმისათვის, რომ საგრანტო სქემაში მიეღოთ მონაწილეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები დააფუძნეს;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, პროექტის განმახორციელებელი კონსორციუმის წევრების დახმარებით, პროექტის მართვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები აიმაღლეს. მათ ასევე მიიღეს რჩევები, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს დაფინანსებული პროექტების შედეგები. გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს დახმარება გაეწიათ ანგარიშის წარდგენის პროცესშიც;
- ჩამოყალიბდა 60 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისგან შემდგარი ქსელი, რომელიც წარმოადგენს DCFTA/SME სტრატეგიის განხორციელებისთვის თანამშრომლობის პლატფორმას. იმავე ან მახლობელ რეგიონში მდებარე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ამგვარი თანამშრომლობისთვის მეტი შესაძლებლობა აქვთ, რადგან პროექტის ფარგლებში განხორციელებული ისეთი

აქტივობები, როგორცაა DCFTA-ის შესახებ ტრენინგები და ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრები ცალ-ცალკე რეგიონში ტარდება. მხოლოდ ცენტრალურმა საკონსულტაციო საბჭომ და ლიეტუვასა და სლოვაკეთში განხორციელებულმა სასწავლო ვიზიტებმა მოუყარა თავი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.


## **დაფინანსებული პროექტების მთავარი შედეგები**

გრანტის მიმღებთა (50%) მიერ დასახელებულ ყველაზე პოპულარულ აქტივობებს შორის იყო საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, სავლელე გასვლები ადგილობრივ თემებში, ლექციები/სემინარები, კონსულტაციები და სასწავლო ვიზიტები/გამოფენები (იხილეთ დიაგრამა #13). ხშირ შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა ორგანიზაციებმა განახორციელეს ერთზე მეტი სახეობის აქტივობა. განხორციელებული აქტივობებისგან მიღებული მონაცემების მიხედვით, ყველაზე ხშირად ჩატარდა კონსულტაციები (182 ღონისძიება) და ინფორმაციული შეხვედრები (164 ღონისძიება), ტრენინგები (87 ღონისძიება), სავლელე გასვლები (44 ღონისძიება), ლექციები/სემინარები (22 ღონისძიება). საერთო ჯამში პროექტის ფარგლებში 513 ღონისძიება ჩატარდა. (იხილეთ დიაგრამა #14). ისეთი ღონისძიებები, როგორცაა ტრენინგები, ლექციები/სემინარები, კონსულტაციები და საინფორმაციო შეხვედრები დიდწილად იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ჩატარდა, რომელთა სამიზნე ჯგუფს მცირე და საშუალო საწარმოები და საჯარო მოხელეები წარმოადგენენ. ამასთან, ის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც ფართო საზოგადოებასთან მუშაობენ, ძირითადად ხვდებიან მოსახლეობას და DCFTA-ისთან დაკავშირებით ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, ადგილობრივ თემებთან ერთად მსჯელობენ. ოთხმა გრანტის მიმღებმა ორგანიზაციამ, ორგანიზება გაუწია შეჯიბრებებს/ინტელექტუალურ თამაშებს ახალგაზრდებს შორის DCFTA-ის განხორციელებასთან დაკავშირებული პროგრესის, სარგებელისა და გამოწვევების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

დიაგრამა #13. გრანტის მიმღები ორგანიზაციების სასურველი აქტივობები - წარმოდგენილია თუ რამდენმა ორგანიზაციამ აირჩია ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები.




დიაგრამა #14. გრანტის მიმღები ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ღონისძიებები, ჯამში 513 ღონისძიება.




დაფინანსების კომპონენტი პროექტის განმახორციელებლებისთვის მთავარი საშუალება იყო ქვეყნის მასშტაბით DCFTA/SME საინფორმაციო კამპანიის განხორციელებისათვის. პროექტის დაწყებისას პროექტის მასშტაბის განმსაზღვრელი ყველა ინდიკატორი თითქმის სრულად შესრულდა. დაფინანსების მიმღები ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში პირდაპირ ჩაერთო 9275 მონაწილე, მათ შორის ოფიციალური პირები, მცირე და საშუალო საწარმოები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ფართო საზოგადოება. მონაწილეების 40%-ს ქალები წარმოადგენდნენ (იხილეთ დიაგრამა #15).

დიაგრამა #15. თითოეულ სამიზნე ჯგუფში შემავალი ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საგრანტო კომპონენტით დაფინანსებულ ღონისძიებებში. ჯამში 9275 ადამიანი.



მათ გარდა, ვინც უშუალოდ მიიღო მონაწილეობა საგრანტო კომპონენტით დაფინანსებულ ღონისძიებებში, უფრო მეტი ადამიანის ჩართვა მოხერხდა სხვადასხვა ინფორმაციული საშუალებების გამოყენებით. **20.000-ზე მეტი საინფორმაციო მასალა**, მათ შორის ბროშურები, გაზეთები, ფლაერები და კალენდრები დაიბეჭდა და დარიგდა საგრანტო პროექტების ფარგლებში. ამასთან, ინფორმაცია გავრცელდა ონლაინ, სოციალური და ტრადიციული მედიის საშუალებით, რომელსაც დაახლოებით 52000 ადამიანზე ჰქონდა წვდომა.. ამასთან, Facebook-ის მონაცემთა ანალიტიკის საშუალებით დადგინდა, რომ **საშუალოდ ერთმა მილიონამდე ქართველმა ნახა გრანტის მიმღებთა მიერ მომზადებული სტატიები და ინტერვიუები**. სატელევიზიო არხების მაცურებლების მონაცემების მიხედვით, **დაახლოებით 250000-მა ქართველმა უყურა სატელევიზიო პროგრამებს გრანტის მიმღებთა და კონსორციუმის წევრთა მონაწილეობით**, რომელთა მიზანიც ადგილობრივ თემებში ცნობიერების ამაღლება იყო. რადიო პროგრამების საშუალებით დაახლოებით 95000 მსმენელამდე მიაღწია შესაბამისმა ინფორმაციამ (იხილეთ დიაგრამა #16).

დიაგრამა #16. გრანტის მიმღებთა მიერ შექმნილი საინფორმაციო მასალების წვდომა - სტატიები, სატელევიზიო და რადიო პროგრამები. მონაცემები ეფუძნება Facebook-ის ბმულებსა და მოწონებებს.



სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაინტერესება DCFTA-ისთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის თვალსაზრისით.


**გამოკითხული ორგანიზაციების უმრავლესობამ DCFTA-ისთან დაკავშირებულ საკითხებზე მომავალში მუშაობის ინტერესი გამოხატა.** ისინი გეგმავენ იმუშაონ ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა: DCFTA-ისთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება; ტრენინგები/კონსულტაციები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გასატარებლად; ვაჭრობასთან დაკავშირებული ტექნიკური ბარიერები; ხარისხის სერტიფიცირების პროცედურები; და სხვა საკითხები.

**მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერის სხვადასხვა სახეები**

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მთავრობისგან და დონორი ორგანიზაციებისგან სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერას საჭიროებენ იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს მათი DCFTA/SME სტრატეგიის განხორციელების პროცესში ჩართულობა. გამოკითხული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 27%-ს სურს მუდმივი შეხვედრები განახლებადი ინფორმაციის მისაღებად DCFTA/SME სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესში. გამოკითხულთა 25% და 24%-ისთვის ასევე მნიშვნელოვანია ინდივიდუალური კონსულტაციები და ტრენინგები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ აღნიშნული მხარდაჭერის სხვა ფორმები გულისხმობს პარტნიორობის ხელშეწყობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს შორის, ასევე ფინანსურ მხარდაჭერას რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის (იხილეთ დიაგრამა #17).

ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებისას, ზოგიერთმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ სკეპტიციზმი გამოხატა სამთავრობო სააგენტოებისგან DCFTA-ის მხარდასაჭერად მისაღები რაიმე ფორმის დახმარების მიმართ. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თქმით, მათ არ აქვთ ინფორმაცია ამ სააგენტოების მიერ შეთავაზებული სერვისების თაობაზე. მაგალითად, რამდენიმე ადგილობრივი მწარმოებლისთვის ცნობილია, რომ ადგილობრივი მთავრობის დონეზე არსებობს კონსულტანტი, რომელსაც შეუძლია დახმარება მხარდაჭერის მოსაპოვებლად და ევროკავშირის ერთიან ბაზარზე პროდუქტის ექსპორტის მიზნით, ევროკავშირის მხრიდან წარმოებაზე დაწესებული მოთხოვნებისა და რეგულაციების დასაკმაყოფილებლად, ასევე აუცილებელი დაფინანსების მოსაძიებლად ან საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო დონორების მხრიდან კონსულტაციის მისაღებად.


დიაგრამა#17. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის საჭირო მხარდაჭერა საქართველოს მთავრობისგან და დონორი ორგანიზაციებისგან.



### DCFTA-ის შესახებ არსებული საინფორმაციო წყაროები

კვლევაში ასევე განხილულია DCFTA-ის შესახებ არსებული ინფორმაციის მთავარი წყაროები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიხედვით, ინფორმაცია ვრცელდება ოთხი ძირითადი არხით: სოციალური მედია/ინტერნეტი (27%), სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (24%), საერთაშორისო ორგანიზაციები (20%) და ტრადიციული მედია, გაზეთი, ტელევიზია, რადიო (13%). ინფორმაციის სხვა წყაროებს წარმოადგენს ადგილობრივი სახელმწიფო ინსტიტუტები (8%), ცენტრალური სახელმწიფო ინსტიტუტები (5%) და ნაცნობები - ოჯახის წევრები, მეგობრები და მეზობლები (3%) (იხილეთ დიაგრამა #18).

დიაგრამა #18. DCFTA-ის შესახებ არსებული საინფორმაციო წყაროები.



### ძირითადი მიგნებები

ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცნობიერების დონე და მათი შესაძლებლობა იმუშაონ DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოებთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ პროექტის საშუალებით. პროექტის დასაწყისში, გამოკითხული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თქმით, მათ სურდათ DCFTA-ისთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისა და ტრენინგების მიღება და ამ თემებზე მუშაობა. პროექტის დასრულების შემდეგ, გამოკითხულთა 83%-მა აღნიშნა, რომ DCFTA-ის შესახებ მათი ცოდნის დონე „მნიშვნელოვნად“ გაიზარდა პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობის წყალობით; ხოლო გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ სურთ მომავალშიც იმუშაონ DCFTA-ისთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ჯამში, გამოკითხული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 76%-მა პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობით მიღებული ცოდნა უკვე გამოიყენა. თუკი გრანტის მიმღებთა შორის პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარები დაბალი იყო, მათი ძალა მათსავე შესაძლებლობაშია, შესაბამის აქტივობებში ჩართონ ადგილობრივი მოსახლეობა. რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დახმარებით, 9275-მა ადამიანმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებაში, რომელთა მიზანიც DCFTA-ისა და ამ შეთანხმებით გათვალისწინებული სარგებლის შესახებ ცოდნის გაღრმავება იყო. DCFTA/SME სტრატეგიის განხორციელების თაობაზე ინფორმაცია დაახლოებით საქართველოს ერთ მილიონამდე მოქალაქეს მიუწოდა, გასავრცელებელი მასალების, სატელევიზიო და რადიო პროგრამების და ინტერვიუების საშუალებით.

ამასთან, პროექტის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს რეგიონებში შეიქმნა ახალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ამასთან, რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უფრო მეტად დაიწყეს ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა: პროექტის დასაწყისში, ისეთი მიმართულებები, როგორცაა ეკონომიკა, განვითარება, სოფლის მეურნეობა, DCFTA-ის იმპლემენტაცია, სურსათის უვნებლობა და ექსპორტის ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის მხოლოდ 47%-ს მოიცავდა, ეს მაშინ, როდესაც პროექტის დასრულების შემდეგ, გამოკითხული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 90% ფარავდა ამ მიმართულებებს. მსგავსი ზრდა მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ პროექტში იყვნენ ჩართულნი.

## ქართული მცირე და საშუალო საწარმოების საქსპორტო კოტენციალის შეფასება

კვლევის ამ ნაწილში გაანალიზებულია DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის განხორციელების გარშემო არსებული მდგომარეობა საქართველოში. დიდ კომპანიებთან შედარებით, მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს უფრო მეტ სირთულეებთან და ბარიერებთან უწევთ გამკლავება ევროკავშირის ერთიან ბაზარზე წვდომისათვის. მაგალითად, დიდ კომპანიებს უფრო მარტივად შეუძლიათ აუცილებელი სერტიფიცირების მოპოვება. ამასთან, ისინი დიდი ოდენობით აწარმოებენ პროდუქციას, რაც საკმარისია ევროკავშირის ბაზარზე სხვა ექსპორტიორებთან კონკურენციის გასაწევად. მიკრო და მცირე საწარმოებს ევროკავშირის ბაზარზე წარმატებით შესვლისათვის აუცილებელი მასშტაბისთვის ჯერ არ მიუღწევიათ და პრობლემები აქვთ სერტიფიცირების გავლასთან დაკავშირებითაც რომელიც მათი პროდუქციის ევროკავშირის ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებას დაადასტურებს. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აღნიშნულმა კვლევამ - რომელიც საერთაშორისო გამოცდილებით არის გამყარებული - აჩვენა, რომ ქართული მცირე და საშუალო საწარმოების წარმატებულ ექსპორტიორ კომპანიებად ტრანსფორმაცია ხანგრძლივი პროცესი იქნება და მთავრობის, საერთაშორისო ინსტიტუტებისა და დონორების მხარდაჭერა, ასევე სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა გახდება აუცილებელი ქვეყანაში საჭირო რეფორმების გასატარებლად. წინამდებარე კვლევის მიზანია, ევროკავშირში პროდუქციის ექსპორტის პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო საწარმოების წინაშე მდგარი პრობლემები გაანალიზდეს და შესაძლებელი გახდეს, ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება.

ზოგადად, DCFTA-ის იმპლემენტაცია მიზნად ისახავს ადგილობრივი მწარმოებლების მოტივირებას და ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს ექსპორტის მოცულობის ზრდას. თუმცა, ექსპორტიორები ბევრ ბარიერს აწყდებიან ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ევროკავშირის ბაზართან წვდომას შეძლებენ. იმისათვის, რომ არსებობდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის სამართლებრივი/ფორმალური საფუძველი, ქართველმა მწარმოებლებმა უნდა დააკმაყოფილონ ევროკავშირის მოთხოვნები ხარისხის, ასევე სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების თვალსაზრისით. აუცილებელია ტრანსპორტირების ხარჯის გათვალისწინებაც, რომელიც ასევე დიდ გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი მწარმოებლებისთვის. 2018 წელს საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის 43% მებობელ ქვეყნებში შევიდა, რის მიზეზადაც აღნიშნულ ქვეყნებთან გეოგრაფიული სიახლოვე, დაბალი ტრანსპორტირების ხარჯი, ენობრივი ბარიერის ნაკლებობა, დაბალი ფიტოსანიტარული სტანდარტები, ბრენდის ცნობადობა და უკვე ჩამოყალიბებული სავაჭრო პარტნიორობები დასახელდა.

პროექტის ფარგლებში მოხდა ევროკავშირში პროდუქციის წარმატებით ექსპორტირების მიმართულებით მცირე და საშუალო საწარმოების წინაშე მდგარი უმთავრესი გამოწვევების იდენტიფიცირება და შემუშავდა რეკომენდაციები, თუ როგორ იქნება შესაძლებელი მათი აღმოფხვრა ადგილობრივ მცირე და საშუალო საწარმოების, სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი და ცენტრალური

მთავრობის წარმომადგენლებთან კონსულტაციების საშუალებით. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მხოლოდ ამ კვლევის საფუძველზე შეუძლებელი იქნება DCFTA-ის გავლენის შეფასება ქართველ მცირე და საშუალო მენარმეებზე და ევროკავშირის ბაზარზე მათ საექსპორტო პოტენციალზე. ვინაიდან შეთანხმების ბოლო ნაწილს ხელი 2017 წლის ნოემბერში მოეწერა არ იყო საკმარისი დრო იმისათვის, რომ ადგილობრივ მწარმოებლებს შესაბამისი ცვლილებები განეხორციელებინათ და ამ შესაძლებლობით ესარგებლათ. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სიღრმისეული ანალიზი მიმდინარე რეფორმებსა და მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას ეხება, კვლევაში ასევე წარმოდგენილია 2014 წელს ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გასული პერიოდიც. წინამდებარე კვლევისთვის მონაცემები შეგროვდა რამდენიმე სხვადასხვა გზით: (1) სამაგიდო კვლევა - ანალიზებს არსებულ კვლევებს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებს; (2) მცირე და საშუალო საწარმოების გამოკითხვა, რომელიც ჩატარდა საქართველოს ცხრავე რეგიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2017 წლის ზაფხულში და 2019 წლის გაზაფხულზე; (3) DCFTA-ის ადგილობრივი და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრებში მონაწილე მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია; (4) 2019 წლის გაზაფხულზე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან რვა მცირე და საშუალო საწარმოს მფლობელების მონაწილეობით ჩატარებული ფოკუს-ჯგუფები. ანალიზი მიზნად ისახავს პასუხი გასცეს შემდეგ საკვლევ კითხვებს:

- შეუძლიათ, თუ არა ადგილობრივ მცირე და საშუალო საწარმოებს ფინანსური სარგებელი მიიღონ DCFTA-იდან?
- რა არის ევროკავშირის ერთიან ბაზარზე წვდომისა და წარმატების მიღწევის გზაზე არსებული მთავარი გამოწვევები და ბარიერები?
- რა როლი უნდა ითამაშოს საქართველოს მთავრობამ? როგორ შეუძლიათ- მთავრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას - ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების დახმარება არსებული ბარიერების გადასაღებად და ევროკავშირის ბაზარზე საკუთარი პროდუქციის ექსპორტზე გასატანად?

## ევროკავშირთან ვაჭრობის საერთაშორისო გამოცდილება

ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნისათვის საგარეო ვაჭრობა ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. განსაკუთრებით ძნელია მშპ-ს მაღალი ზრდის მიღწევა, როდესაც ქვეყანას არ აქვს ისეთი ბუნებრივი რესურსები, როგორცაა გაზი ან ნავთობი და ვერ აწარმოებს მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებს. განვითარებადი ეკონომიკისთვის სწრაფი ზრდის ერთადერთი გზა ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებაა. საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია შეიძლება შევადაროთ უკრაინასა და მოლდოვასთან გაფორმებულ DCFTA-ის [შეთანხმებებს]. მათი გამოცდილება ცხადყოფს, რომ საქართველო ევროკავშირთან DCFTA-ის ამოქმედებით მოკლევადიან პერსპექტივაში სარგებელს არ უნდა ელოდოს და, რომ ასოცირების შესახებ

შეთანხმების წარმატებით განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მთავრობის ძლიერი მხარდაჭერითა და ჩართულობით.

უკრაინისა და მოლდოვას მიერ ევროკავშირთან გაფორმებული DCFTA აჩვენებს, რომ ორივე მხარეს წარმოდგენილი იქნებიან როგორც ისეთი ბიზნესები, რომლებმაც ისარგებლეს DCFTA-ით, ასევე ისეთი ბიზნესები, რომლებმაც DCFTA-ის შესაძლებლობით სარგებელი ვერ ნახეს.<sup>3</sup> **მთავრობის მტიცე მხარდაჭერის გარეშე, ქვეყნები ვერ ისარგებლებენ თავისუფალი ვაჭრობით: მთავრობებს ამაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი აქვთ.** აუცილებელია სახელმწიფო ინვესტიციები საჯარო და კერძო სექტორში რეფორმების ფინანსურად მხარდასაჭერად, რადგან ევროკავშირში DCFTA-ის ქვეყნებიდან ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, როგორც წესი, მნიშვნელოვნადაა სუბსიდირებული<sup>4</sup>. მნიშვნელოვანი და ამასთან, ძალიან ძვირია ევროკავშირის ბაზარზე მოთხოვნილი სურსათის უვნებლობის მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება, რაც იმას ნიშნავს, რომ სარგებლის მიღება მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება შესაძლებელი. მოკლევადიან პერსპექტივაში მოგების მიღება დიდი ალბათობით შეუძლებელი იქნება. გარკვეულ სეგმენტებში - სანიტარული, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული სეგმენტები - საქართველოს ეროვნული სტანდარტების ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებზე მორგება ადგილობრივი ბიზნესებისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება. თუმცა, ამავდროულად, ამას ადგილობრივ მომხმარებელზეც ექნება გავლენა, რადგან გაიზრდება პროდუქციის, სურსათის უვნებლობისა და სერვისების ხარისხის სტანდარტები. შედეგი იქნება უფრო უსაფრთხო პროდუქტი და საკვები, უკეთესი სერვისები და მომხმარებლების უფრო მეტად დაცული უფლებები, ისევე როგორც გამომუშავებული დამატებითი ღირებულება მწარმოებლებისთვის რაც შესაბამისად, მათთვის უფრო მაღალ შემოსავალს გულისხმობს.

კვლევა აჩვენებს, რომ დაახლოებით ორი წელიწადია საჭირო იმისათვის, რომ ქვეყანამ ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის ექსპორტის თვალსაზრისით DCFTA-ისგან დადებითი სარგებელი მიიღოს. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებმა, მონაწილეობა მიიღეს სასწავლო ვიზიტებში ლიეტუვასა და სლოვაკეთში, სადაც ადგილობრივმა მწარმოებლებმა მათ საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და რჩევები მისცეს იმ გამოწვევებთან დაკავშირებით, რასაც ისინი ევროკავშირის ბაზარზე ვაჭრობის დროს შეხვდებიან. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, ეხება ბაზარზე კონკურენციას, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სექტორში, რადგან ევროკავშირში სოფლის მეურნეობა სუბსიდირდება ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკით მიღებული პირდაპირი გადასახადებით. ამასთან, კომპანიებს შეუძლიათ დამატებითი თანხების მიღება წევრი სახელმწიფოების სოფლის მეურნეობის შიდა პოლიტიკის წყალობით. მსგავსი სუბსიდიები და დაფინანსების პროგრამები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და შესაძლოა განსაზღვროს, თუ ვინ დარჩება ბაზარზე მოგებული და წაგებული. თუმცა, როგორც ლიეტუვისა და სლოვაკეთის მაგალითი აჩვენებს, მცირე კომპანიებმა პატარა ქვეყნებიდან უნდა იპოვონ ნიშა დიდ მწარმოებლებთან ან წევრი ქვეყნების მწარმოებლებთან კონკურენციის

<sup>3</sup> M.Ryzhekov, S.Galko, V.Movchan and J.Radeke, "The impact of the EU-Ukraine DCFTA on agricultural trade", German-Ukrainian Agricultural Policy journal, October 2013.

<sup>4</sup> A. Adarov and P.Havlik, "Benefits and costs of DCFTA: Evaluation of the impact on Georgia, Moldova and Ukraine", The Vienna Institute for International Economics Studies, December 2016.

გასაწევად. ამ ნიშის საშუალებით შეუძლიათ მათ წარმატების მიღწევა. ნიშა შეიძლება იყოს ტრადიციული პროდუქცია, რაც მხოლოდ ადგილობრივად იწარმოება, წარმოებაში ინოვაციური მიდგომის დანერგვა ან წარმოებული პროდუქტის მაღალი ხარისხი იმ პროდუქტებთან შედარებით, რომლებიც დიდი მოცულობით იწარმოება.

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ ქართული მცირე და საშუალო საწარმოების, ევროკავშირის ერთიან ბაზარზე წვდომის წინაშე მდგარი გამოწვევები და ბარიერები - და მოხდა თუ არა რამე სახის ცვლილება 2017 წელს ჩატარებული კვლევის შემდეგ - 2019 წლის გაზაფხულზე, მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ კიდევ ერთი კვლევა ჩატარდა. მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოთქვეს DCFTA-ის ადგილობრივი და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრებსა და ფოკუს-ჯგუფების განხილვებზე 2019 წლის მარტში. ქვემოთ მოცემულ სექციაში წარმოდგენილია შერჩევის მეთოდოლოგია და შედეგად მიღებული მონაცემები, გამოკითხვის შედეგები და დამატებითი რეკომენდაციები დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც შეგროვდა სხვადასხვა შეხვედრებსა და ფორმატებში პროექტის ბოლო პერიოდში მსვლელობისას.

## საექსპორტო პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო საწარმოების გამოკითხვა

### კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა 2019 წლის გაზაფხულზე ჩატარდა. მონაცემები შეგროვდა სატელეფონო ინტერვიუების საშუალებით სტრუქტურირებული კითხვარების გამოყენებით, რომელიც თავდაპირველად შემთხვევით შერჩეულ მცირე და საშუალო საწარმოებზე გამოიცადა. კვლევა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების წინაშე მდგარი მთავარი პრობლემების განსაზღვრას და იმის დადგენას, თუ როგორ შეუძლია მთავრობას მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტის მხარდაჭერა ევროკავშირის ბაზარზე.

კვლევის მონაცემები შეგროვდა ქვეყნის მასშტაბით ისეთი მცირე და საშუალო საწარმოებისგან, რომლებიც აწარმოებენ ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის პოტენციალის მქონე სასოფლო სამეურნეო პროდუქციას. საერთო ჯამში, მონაცემები ქვეყნის მასშტაბით 200 მცირე და საშუალო საწარმოსგან შეგროვდა. მცირე და საშუალო საწარმოები შეირჩნენ ზომისა და სპეციალიზაციის, ასევე გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნესის რეესტრში მოიპოვება ინფორმაცია თითოეულ რეგიონში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის შესახებ<sup>5</sup>. გამოკითხვაში მონაწილე მცირე და საშუალო საწარმოების წილის განსაზღვრის მიზნით, ქვეყანაში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების

<sup>5</sup> GEOSTAT, Registry of Economic Subjects, ხელმისაწვდომია: [http://br.geostat.ge/register\\_geo/index.php?action=search](http://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=search), წვდომის თარიღი 17.07.2019

მთლიანი რაოდენობა გაიყო მოცემულ რეგიონში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოს რაოდენობაზე. მაგალითად, იმერეთის რეგიონში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების წილი 24%-ია, შესაბამისად იმერეთში კვლევისათვის შერჩეული საწარმოები, კვლევისთვის ინტერვიუებში მონაწილე საწარმოების 24%-ს შეადგენდა.

კვლევის შემდეგ ნაბიჯად განისაზღვრა საწარმოების შერჩევა სპეციალიზაციისა და ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის პოტენციალის არსებობის მიხედვით. იმისათვის, რომ მოგვეხდინა იმ მცირე და საშუალო საწარმოების იდენტიფიცირება, რომლებიც ექსპორტზე ორიენტირებულ პროდუქციას აწარმოებენ, გაანალიზდა საქსტატისგან მიღებული, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ევროკავშირში ექსპორტირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის შესახებ არსებული მონაცემები. ამ მონაცემების მიხედვით, შესაძლებელი გახდა საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული წამყვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დადგენა. მოხდა თითოეული მცირე და საშუალო საწარმოს ბიზნეს საქმიანობის შეფასება ექსპორტის კვლევის მონაცემებთან და შესაბამისად, მხოლოდ ის მცირე და საშუალო საწარმოები შეირჩინენ სატელეფონო ინტერვიუსთვის, რომლებიც ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის პოტენციალის მქონე პროდუქციას აწარმოებენ. ეს პროდუქტებია: თხილი, რძის პროდუქტები, არაალკოჰოლური სასმელები, ალკოჰოლური სასმელები, ხილი, ხილის ჩირი, ბოსტნეული, ხორცპროდუქტები, თაფლი და ჩაი. ღვინო ამ მონაცემებში არ არის შეყვანილი, იმიტომ რომ ის გამონაკლისია ბაზარზე: 2003 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობა ღვინოს პრიორიტეტს ანიჭებდა და მთავრობის მნიშვნელოვანი ხელშეწყობით, ქართული ღვინის მწარმოებლებს წარმატებით გააქვთ ღვინო ევროკავშირისა და საერთაშორისო ბაზრებზე. გადაწყდა, რომ ამ სიაში თაფლიც შევიდოდა, რადგან თაფლი ახლახანს დაემატა საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებადი პროდუქციის სიას.<sup>6</sup>

## მცირე და საშუალო საწარმოების გამოკითხვის შედეგები

2019 წლის კითხვარში შესულია 2017 წლის კითხვარში გამოყენებული კითხვები დასაქმებულების რაოდენობასთან, პროდუქციასთან და წარმოების წლიურ მოცულობასთან, ასევე უკვე აღებულ ან სამომავლოდ ასაღებ სექტორიფიცირებასთან დაკავშირებით. მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებს დაუსვეს კითხვა იმასთან დაკავშირებით, ახდენენ თუ არა საკუთარი პროდუქციის ექსპორტს და დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეკითხებოდნენ თუ სად და რამდენი ხნის განმავლობაში ეწვეიან ექსპორტს. აღნიშნულ კითხვებს დაემატა უფრო დეტალური კითხვები შემდგომი კვლევისთვის, მათ შორის კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იყენებენ მცირე და საშუალო საწარმოები მოგებას და გეგმავენ თუ არა სამომავლოდ საკუთარი წარმოების გაფართოებას. ზოგიერთი კითხვისთვის, მთლიანი პასუხების ჯამი 200-ზე ნაკლებია, რადგან ზოგიერთმა რესპონდენტმა ყველა კითხვას არ უპასუხა და ამდენად, მონაცემებში დანაკლისები არსებობს.


<sup>6</sup> "Georgian Honey Producers can export to the EU market", ხელმისაწვდომია:

<http://www.dcfta.gov.ge/en/news/98/Georgian-Honey-Producers-canexport-to-the-EU-market>, წვდომის თარიღი 20.06.2019

კითხვები, სადაც შერჩეული ჯგუფის სიდიდე განსხვავებულია, მონაცემთა ანალიზშია მითითებული.

დიაგრამა #19 აღწერს ყველა 200 საწარმოში გადანაწილებული დასაქმებულების რაოდენობას. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვი 100-ს, ხოლო წლიური შემოსავალი 1,500,000 ლარს არ აღემატება. გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების 36%-ს 5-ზე ნაკლები დასაქმებული ჰყავს, 37%-ის დასაქმებულთა რაოდენობა კი 6-დან 15-მდე მერყეობს. უფრო დიდ კომპანიებზე გაცილებით პატარა რიცხვი მოდის: გამოკითხულთა 14%-ის დაქირავებულთა რაოდენობა 15-დან 30-მდე მერყეობს და 14%-ს ჰყავს 30-ზე მეტი ადამიანი დაქირავებული. ზომის მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოების გადანაწილება ასახულია საწყის კვლევაში, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში 2017 წლის ზაფხულში ჩატარდა: გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების დიდი უმრავლესობის დასაქმებულთა რაოდენობა 15-ს არ აღემატებოდა; საგულისხმოა, რომ მონაცემები ამგვარადვე იყო გადანაწილებული ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა რეგიონში.


დიაგრამა #19. მცირე და საშუალო საწარმოების რიცხვი დამსაქმებლების მიხედვით



თითოეული კატეგორიის დამოუკიდებლად ანალიზისას იკვეთება კორელაცია დასაქმებულების რაოდენობასა და კომპანიის ექსპორტის შესაძლებლობას შორის (იხილეთ დიაგრამა #20). ოთხი კატეგორიიდან, სადაც წარმოდგენილია დასაქმებულების რაოდენობა საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტის განმახორციელებელ მცირე და საშუალო საწარმოებში, მხოლოდ 10 ასეთ საწარმოს (16%) ჰყავს 5-ზე ნაკლები დაქირავებული. ექსპორტიორთა წილი კატეგორიების მიხედვით იზრდება და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აღწევს საწარმოების 71% - 30 დასაქმებულით. რიცხვებში რომ გამოვსახოთ, თუკი 20 მცირე და საშუალო საწარმოს, რომელიც ექსპორტს ახორციელებს 6-დან 30-მდე დასაქმებული ჰყავს, 20 საწარმო ეწევა ექსპორტს 30-ზე მეტი დასაქმებული პირით. გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოებიდან მხოლოდ შვიდი საწარმო ახორციელებს ექსპორტს მხოლოდ ევროკავშირში და მათი დასაქმებულების რაოდენობა 6-დან 30-მდე მერყეობს. წარმოდგენილი მიგნებები ცხადყოფს, რომ

იმ საწარმოებს, რომელთაც უფრო მეტი დასაქმებული ჰყავთ, ევროკავშირში ექსპორტის განხორციელების უკეთესი შესაძლებლობა აქვთ.

დიაგრამა #20. ექსპორტიორების და არაექსპორტიორების წილი



დიაგრამა #21-ში წარმოდგენილია საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის უფლების მქონე პროდუქტების სიის სათავეში მყოფი პროდუქტების ჩამონათვალი. პროდუქტების კლასიფიკაციისთვის, ანგარიშში გამოყენებულია ორნიშნა სასაქონლე კოდი გაეროს მიერ შემუშავებული „კოდების ჰარმონიზაციის სისტემის“ (HS კოდი) მიხედვით<sup>7</sup>.

შეგროვებული მონაცემები ასევე ცხადყოფს, რომ გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ექსპორტირებული პროდუქციის თავში არის თხილი (10.5%) და რძის პროდუქტები (10%), რასაც მოჰყვება არაალკოჰოლური და ალკოჰოლური სასმელები. ხორცი მეხუთე ადგილზეა 5.5%-ით და თაფლი - 3.5%-ით. სხვა ექსპორტირებულ საკვებს შორისაა კენკრა, ხილი და ჩაი.


კვლევაში, ასევე გათვალისწინებულია თითოეული პროდუქტის საერთაშორისო ექსპორტის შეფარდება. საერთაშორისო დონეზე, მცირე და საშუალო საწარმოების უმრავლესობა თხილის ექსპორტს ეწევა (იხილეთ დიაგრამა #22): თხილის მწარმოებელი 15 მცირე და საშუალო საწარმო საკუთარ პროდუქციას საერთაშორისო ბაზარზე ყიდის; ამ 15-დან ხუთი ექსპორტს ევროკავშირის ბაზარზე ეწევა. თხილის მწარმოებელი მხოლოდ ცხრა მცირე და საშუალო საწარმო არ ახორციელებს პროდუქციის ექსპორტს. მსგავსი შედეგებია ჩაის მწარმოებელ მცირე და საშუალო საწარმოების შემთხვევაშიც: ოთხი მცირე და საშუალო საწარმო ახორციელებს ჩაის ექსპორტს და მხოლოდ ორი საწარმო არ ყიდის

<sup>7</sup> UN Comtrade ოფიციალური საერთაშორისო სავაჭრო სტატისტიკისა და შესაბამისი ანალიტიკური ცხრილების მონაცემთა ბაზაა. ხელმისაწვდომია: <https://comtrade.un.org/data/>, წვდომის თარიღი 17.07.2019

საკუთარ პროდუქტს საზღვარგარეთ. ყველა სხვა პროდუქტის შემთხვევაში, მცირე და საშუალო საწარმოების ის რაოდენობა, რომელიც არ ახორციელებს ექსპორტს მნიშვნელოვნად აღემატება იგივე პროდუქტის ექსპორტიორების რაოდენობას.


ზოგიერთი პროდუქტი, მაგალითად კენკრა, ხილი და ბოსტნეული მალეუჭებადი პროდუქტებია, რაც ართულებს მცირე და საშუალო საწარმოს საექსპორტო პოტენციალს. თავლის მწარმოებლებისთვის მთავარი გამოწვევა, ისეთი ლაბორატორიის არარსებობაა, რომელიც თაველში და მისგან დამზადებულ პროდუქტში ანტიბიოტიკებისა და პესტიციდების დონეს შეამოწმებს. 2017 წელს, საქართველო დაემატა იმ ქვეყნების სიას, რომელთაც ევროკავშირის ბაზარზე თავლის ექსპორტი შეუძლიათ - თუმცა, პროექტის მიმდინარეობის პერიოდში საქართველოდან ევროკავშირში მხოლოდ 135 კგ. თავლის ექსპორტი განხორციელდა<sup>8</sup>. რაც შეეხება გამონაკლისებს - ჩაი და თხილი - ადგილობრივ ბაზარზე ორივე პროდუქციის სიჭარბეა, რაც ამ პროდუქტების მწარმოებლებს საკუთარი პროდუქციის ექსპორტისკენ უბიძგებს. **მონაცემები აჩვენებს, რომ იმ მცირე და საშუალო საწარმოების რიცხვი, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტი, ჯერ კიდევ დაბალია და დრო იქნება საჭირო იმისათვის, რომ მცირე და საშუალო საწარმოებმა DCFTA-ის შესაძლებლობებით სრულად ისარგებლონ.**

დიაგრამა #21. მცირე და საშუალო საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქცია




<sup>8</sup> კვლევაში წარმოდგენილი მონაცემები ეყრდნობა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხოვილ ინფორმაციას, მარტი 2019.

დიაგრამა #22. ექსპორტიორი და არაექსპორტიორი მცირე და საშუალო საწარმოების წარმომება.




მცირე და საშუალო საწარმოების ევროკავშირის ბაზარზე საექსპორტო პოტენციალის ანალიზისთვის, რესპონდენტებს დავუსვით კითხვა ახორციელებდნენ თუ არა საკუთარი პროდუქციის ექსპორტს, და დადებითი პასუხის შემთხვევაში - სად. 200 რესპონდენტიდან 189 მცირე და საშუალო საწარმომ გასცა პასუხი ამ კითხვას: 56-მა აღნიშნა, რომ ისინი საკუთარი პროდუქციის ექსპორტს ახორციელებდნენ, მათგან 25 კი პროდუქტს ევროკავშირის ბაზარზე ჰყიდდა (იხილეთ დიაგრამა #23). ექსპორტის განმახორციელებელი საწარმოების პროცენტული წილი 2017 წელს ჩატარებულ კვლევაში წარმოდგენილი მარკენებლის მსგავსია, რა დროსაც რესპონდენტების 23% ექსპორტიორი მცირე და საშუალო საწარმოები იყვნენ (ქვეყნის მასშტაბით გამოკითხული 559 მცირე და საშუალო საწარმოდან 127 საწარმო). მსგავსი ტენდენცია შეინიშნება 2019 წლის გამოკითხვაში: გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების უდიდესი წილი საკუთარ პროდუქციას მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე ყიდის და ექსპორტიორების უმრავლესობა საკუთარი პროდუქციის ექსპორტს არაევროკავშირის ბაზარზე ეწევა. არსებული შერჩეული ჯგუფიდან 33 რესპოდენტი ექსპორტს ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში ეწევა, 14 საკუთარ პროდუქციას როგორც ევროკავშირის წევრ, ისე არაწევრ ქვეყნებში ყიდის და შვიდი ექსპორტს მხოლოდ ევროკავშირის ბაზარზე ახორციელებს. 2003 წლამდე მხოლოდ ოთხი მცირე და საშუალო საწარმო ახორციელებდა ექსპორტს, 2004-2011 წლებში ეს რიცხვი 14-მდე, ხოლო 2012 წლის შემდეგ 33-მდე გაიზარდა. გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოებიდან, მხოლოდ ერთმა დაიწყო ექსპორტის განხორციელება ევროკავშირში 2017 წლიდან, ე.ი. პროექტის მიმდინარეობის პერიოდში.

დიაგრამა #23. ქართული მცირე და საშუალო საწარმოების საექსპორტო მიმართულებები.




დიაგრამა #24-ზე ნაჩვენებია თუ სად და რა ოდენობით ახორციელებენ ქართული მცირე და საშუალო საწარმოები საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს. ჯამში მცირე და საშუალო საწარმოებმა 2790 ტონა თხილის ექსპორტი განახორციელეს: სამმა საწარმომ ევროკავშირის ბაზარზე 2295 ტონა გაყიდა, ერთმა საწარმომ ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში 45 ტონა თხილის ექსპორტი მოახდინა, ხოლო ერთმა საწარმომ, როგორც ევროკავშირის წევრ, ისე არაწევრ ქვეყნებში 450 ტონა თხილის ექსპორტი შეძლო. მონაცემები აჩვენებს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები ევროკავშირში ასევე ახდენენ ხილის ჩირის ექსპორტს, კერძოდ, ერთმა საწარმომ საზღვარგარეთის ბაზარზე 90 ტონა ხილის ჩირი გაყიდა. ჩაის ექსპორტი ხორციელდება, როგორც ევროკავშირის წევრ, ისე არაწევრ ქვეყნებში. კვლევაში ასევე წარმოდგენილია ის მცირე და საშუალო საწარმოები, რომელებიც ხილის, ბოსტნეულისა და თაფლის ექსპორტს არაევროკავშირის ბაზრებზე ახდენენ.

დიაგრამა #24. ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა საექსპორტო ბაზრების მიხედვით.




კითხვარის შემდეგი ნაწილი ეხება იმ სერტიფიკატებს, რომლებიც მცირე და საშუალო საწარმოებს სჭირდებათ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ოფიციალურად ექსპორტის უფლებისთვის. გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს შორის ყველაზე პოპულარული სერტიფიკატებს შორისაა ISO, რომელიც 27 საწარმოს აქვს მიღებული; HACPP - საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სერტიფიკატი - 22 საწარმო. მხოლოდ ერთ საწარმოს აქვს ორგანული პროდუქციის სერტიფიკატი (BIO). 38 მცირე და საშუალო საწარმოს, რომელთაც აქვთ ყველაზე ცოტა ერთი სახეობის სერტიფიკატი, გეგმავს დამატებით სერტიფიკატების მოპოვებას (იხილეთ დიაგრამა #25). თუმცა, საწარმოების უმეტესობას (114) არ აქვს არც ერთი სერტიფიკატი. 114-დან 62 არ გეგმავს სამომავლოდ რაიმე სახის სერტიფიკატის აღებას. წარმოდგენილი მიგნებები აჩვენებს, რომ მცირე და საშუალო საწარმოების 54%, რომელთაც არ აქვთ არანაირი სახის სერტიფიცირება, მომავალშიც არ აპირებენ ამის გაკეთებას, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შესვლას არ ცდილობენ. მსგავსი შედეგები აჩვენა 2017 წელს ჩატარებულმა პირველმა კვლევამ, სადაც სერტიფიკატის არმქონე მცირე და საშუალო ბიზნესის 57% სერტიფიცირების გავლას არც მომავალში აპირებდა.

დიაგრამა #25. მცირე და საშუალო საწარმოების მიერ მიღებული სერტიფიკატები



დიაგრამა #26 ცხადყოფს, რომ მცირე და საშუალო საწარმოების უმეტესობა, რომლებიც საერთაშორისო სერტიფიკატის მიღებას აპირებენ არჩევენ ISO სტანდარტის მიღებას, მაშინ როცა ოთხი - სტანდარტი HACCP-ის, ხოლო სამი საწარმო - ორგანული პროდუქციის სერტიფიკატისა და ე.წ. საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკის (Global G.A.P) აღებას გეგმავენ. მონაცემების მიხედვით, 27 მცირე და საშუალო საწარმოს უკვე აქვს მიღებული ISO სტანდარტი, ხოლო დამატებით 28 მომავალში მიიღებს მას. ეს ძალიან პოზიტიური შედეგია, ვინაიდან ISO სტანდარტის მიღება დაეხმარება ადგილობრივ მცირე და საშუალო საწარმოებს გააფართოვონ ბიზნესი და საკუთარი პროდუქცია სხვადასხვა ბაზარზე გაყიდონ.


დიაგრამა #26. სერტიფიკატების სახეობები და სტანდარტები, რომელთა მიღებასაც მცირე და საშუალო საწარმოები გეგმავენ.



სტანდარტის მიღება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისკენ. მცირე და საშუალო საწარმოების წარმოების შესაძლებლობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც დაკავშირებულია ევროკავშირის

ბაზარზე ექსპორტის პოტენციალთან. დიაგრამა #27-ის მიხედვით, გამოკითხული საწარმოები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან წარმოების ზომით. ყველაზე დიდი წილი, რესპონდენტების 30%, აწარმოებს 100-დან 1000 ტონამდე, 27% - 10-დან 100 ტონამდე და ყველაზე პატარა მწარმოებლები, რომელთა წილიც 23%-ს შეადგენს, წელიწადში 5 ტონაზე ნაკლებს აწარმოებენ<sup>9</sup>. თუმცა არსებობს პოზიტიური კორელაცია წარმოების მოცულობასა და საერთაშორისო დონეზე ექსპორტის პოტენციალს შორის. ცხრილი #1-ის მიხედვით ის მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც საკუთარი პროდუქციის ექსპორტს ახდენენ საშუალოდ ოთხჯერ მეტს აწარმოებენ იმ მცირე და საშუალო საწარმოებთან შედარებით, რომელთაც პროდუქცია ექსპორტზე არ გააქვთ. ასევე, ის მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთაც მხოლოდ ევროკავშირის ბაზარზე გააქვთ პროდუქცია 2.7-ჯერ მეტს აწარმოებენ იმ საწარმოებთან შედარებით, რომელთაც საერთოდ არ გააქვთ საკუთარი პროდუქცია ექსპორტზე.

დიაგრამა #27. ქართული მცირე და საშუალო საწარმოების ყოველწლიური წარმოება



ცხრილი #1. წარმოების მოცულობა და ექსპორტის პოტენციალი.


	მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა	პროდუქციის ჯამური რაოდენობა ტონებში	პროდუქციის საშუალო რაოდენობა ტონებში
არ არის ექსპორტიორი	91	14 081	154
ექსპორტიორია	41	25 394	619
ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტიორი	9	3 720	413

<sup>9</sup> გამოკითხული 200 მცირე და საშუალო საწარმოდან, შეკითხვას პასუხი 141 რესპონდენტმა გასცა

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისა და ზრდის პოტენციალის გასაზომად, კვლევის ფარგლებში მცირე და საშუალო საწარმოებს დავუსვით შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იყენებენ ისინი მოგებას და რა არის მათი განვითარების გეგმები. დიაგრამა #28 - ის მიხედვით, გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების 71% საკუთარი მოგების რეინვესტირებას ახდენს, 27% ბიზნესიდან მიღებული შემოსავლით ცდილობს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ხოლო 2% თანხის ინვესტირებას უძრავ ქონებაში ახდენს. ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების უმრავლესობა თანხის რეინვესტირებას საკუთარ ბიზნესში ახდენს, ნიშნავს იმას, რომ მათ სურთ საკუთარი წარმოებისა და საბაზრო წილის გაზრდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.


კითხვის „აპირებთ თუ არა ბიზნესის გაფართოებას?“ პასუხად, მცირე და საშუალო საწარმოების 69% აღნიშნავს, რომ ისინი გეგმავენ გაფართოებას (იხილეთ დიაგრამა #29), 21%-ის თქმით, ისინი არ აპირებენ გაფართოებას იმიტომ, რომ არ გააჩნიათ საკმარისი თანხა, ან გაურბიან რისკს. რესპონდენტების მხოლოდ 9% აცხადებს, რომ მათ არ იციან რას იზამენ მომავალში.

დიაგრამა #28. ქართული მცირე და საშუალო საწარმოების მოგების გამოყენება.




დიაგრამა #30 და #31 აჩვენებს, რომ მცირე და საშუალო საწარმოების დიდი ნაწილი, როგორც ექსპორტიორი, ისე არაექსპორტიორი საწარმოები, საკუთარი ბიზნესის გაფართოების გზებს ეძებენ. 133 მცირე და საშუალო არაექსპორტიორი საწარმოდან, 99 შემოსავლის საკუთარ ბიზნესში რეინვესტირებას ახდენს და 94 გაზრდას გეგმავს. როდესაც მცირე და საშუალო საწარმო თანხის რეინვესტირებას ახდენს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სურს მეტი წარმოება და მეტი მუშა ხელის დაქირავება, რაც გაზრდის მის საექსპორტო შესაძლებლობებს. კვლევის მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ იმ მცირე და საშუალო საწარმოთაგან, რომელთაც უკვე გააქვთ საქონელი ექსპორტზე, 51 კვლავ რეინვესტირებას ახორციელებს და 38 გაზრდას გეგმავს. რაც ნიშნავს, რომ მიუხედავად ექსპორტისა, ამ საწარმოებს მეტი წარმოება და ბაზრის უფრო დიდი ნაწილის დაკავება სურთ.


დიაგრამა #29. გეგმავს გაფართოებას



დიაგრამა #30. ექსპორტის ტრენდები იმ მცირე და საშუალო სანარმოებს შორის, რომლებიც შემოსავლის საკუთარ ბიზნესში რეინვესტირებას ახდენენ



დიაგრამა #31. ექსპორტის ტრენდები იმ მცირე და საშუალო სანარმოებს შორის, რომლებიც გეგმავენ გაფართოებას



კვლევის ყველაზე პრობლემური ნაწილი შემოსავლების შესახებ მონაცემების შეგროვება იყო. მცირე და საშუალო საწარმოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავი აარიდა საკუთარი შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გაცემას, თუმცა მათ ისაუბრეს შემოსავლის ტრენდებზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. 2017-2018 წლებში შემოსავლის ცვლილების შესახებ კითხვაზე პასუხების რაოდენობა მაღალი იყო: თითქმის ყველამ - 200-დან 198-მა საწარმომ უპასუხა ამ კითხვას. რაც შეეხება კითხვას, შემოსავლის ტრენდების შესახებ 2013-2014 წლებში, ამ კითხვაზე მხოლოდ 15-მა საწარმომ გასცა პასუხი.

ცხრილი #2-ში წარმოდგენილია ინფორმაცია, თუ როგორ იცვლებოდა მცირე და საშუალო საწარმოების შემოსავალი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. ცხრილიდან იკვთება, რომ მცირე და საშუალო საწარმოების 48.4%, 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს შემოსავლის ზრდას აფიქსირებს. მცირე და საშუალო საწარმოების თითქმის იდენტური პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება 2017 წელს 2016 წელთან შედარებით. გასულ წლებში, მცირე და საშუალო საწარმოების 69%-მა დააფიქსირა შემოსავლის ზრდა, 2015 წლის 86%-თან და 2014 წელს 93%-თან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაძლოა პოზიტიურ განვითარებად ჩანდეს - 2018 წელს გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების თითქმის ნახევარი აფიქსირებდა გაზრდილ შემოსავალს. დინამიკაში იკვთება, რომ ტრენდი პრობლემურია: ყოველ წელს მცირე და საშუალო საწარმოების მიერ დაფიქსირებული შემოსავლის წილი წინა წელთან შედარებით იკლებს. მსგავსი უარყოფითი ტენდენციები ხელს უშლის მცირე და საშუალო მეწარმეების მოტივაციას გააფართოვონ ბიზნესი და შესაძლოა, უარყოფითად აისახოს მათი ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობაზე.

კვლევაში ჩანს, რომ უფრო მეტი მცირე და საშუალო საწარმო აფიქსირებს შემოსავლის შემცირებას. 16%-ის განცხადებით, მათმა შემოსავალმა დაიკლო 2016-2017 წლებში, 2017-2018 წლის 34%-იან მაჩვენებელთან შედარებით.


ცხრილი #2. მცირე და საშუალო საწარმოების მოგების ცვლილება 2013-2018 წლებში

	2013 - 2014	2014 - 2015	2015 - 2016	2016 - 2017	2017 - 2018
გაიზარდა	14	30	58	59	95
იგივე შენარჩუნდა		2	15	20	64
შემცირდა	1	3	11	43	28

მოგების ტრენდის მიუხედავად, როგორც დიაგრამა #32-შია ნაჩვენები, ექსპორტიორ საწარმოებთან შედარებით, ორჯერ მეტი მცირე და საშუალო საწარმო არ ახორციელებს საკუთარი პროდუქტის ექსპორტს. ეს მიგნება შესაძლოა აიხსნას საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურით. საქართველო არ არის ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა, რადგან ის ვერ ახდენს იმპორტზე მეტი

საქონლის ქვეყნიდან ექსპორტს<sup>10</sup>. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2018 წელს ექსპორტთან შედარებით, საქართველომ 1.4-ჯერ მეტი სასოფლო სამეურნეო პროდუქტის იმპორტი მოახდინა.

დიაგრამა #32. მოგება და ექსპორტის ტრენდები



## ძირითადი მიგნებები

მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ კვლევა წარმოადგენს ინფორმაციას კომპანიის ზომასთან, პროდუქციის ტიპთან, პროდუქციის მოცულობასთან, მოგების გამოყენებასთან, სამომავლო გეგმებთან და სავაჭრო სივრცეებთან დაკავშირებით. აღნიშნული მონაცემები გაანალიზდა იმისათვის, რომ დადგენილიყო ექსპორტის პროცესზე დადებითი და უარყოფითი გავლენის მქონე ცვლადები.

ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებობს კორელაცია მცირე და საშუალო საწარმოში დაქირავებული ადამიანების რაოდენობასა და ექსპორტის შესაძლებლობას შორის. მცირე და საშუალო საწარმოების მხოლოდ 16% ახდენს საქონლის ექსპორტს 5-ზე ნაკლები დაქირავებულით, მაშინ, როდესაც მცირე და საშუალო საწარმოების 71% ახორციელებს ექსპორტს, თუ მათ 30-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავთ. ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ არსებობს პოზიტიური კორელაცია წარმოების მოცულობასა და ექსპორტის პოტენციალს შორის. მცირე და საშუალო საწარმოებს,

<sup>10</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხელმისაწვდომია: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=133&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo), წვდომის თარიღი 17.07.2019.

რომლებიც ახორციელებენ ექსპორტს საშუალოდ ოთხჯერ დიდი წარმოება აქვთ იმ საწარმოებთან შედარებით, რომლებიც ექსპორტს არ ახორციელებენ.

ამასთან კვლევისთვის საინტერესო მიგნებაა, რომ გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების უმეტესობა გაფართოებას გეგმავს. ამასთან საწარმოების უმეტესობა მოგების საკუთარ ბიზნესში რეინვესტირებას ახდენს, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ბაზარზე მათი წილით კმაყოფილები არ არიან. მათ სურთ, მეტი ადამიანის დაქირავება და მეტი პროდუქციის წარმოება, რადგან იციან, რომ ეს მათთვის ექსპორტის შესაძლებლობას გაზრდის.

კვლევის მიგნებები ნეგატიურია შემოსავლის ტრენდების თვალსაზრისით. აღმოჩნდა, რომ იმ საწარმოების წილმა, რომელთა შემოსავალიც იზრდება, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იკლო. ამასთან სიტუაცია სრულად პოზიტიური არც სერტიფიცირების მიმართულებით არის. 114 მცირე და საშუალო საწარმოდან, რომელთაც არ აქვთ სერტიფიკატი, 62 არ გეგმავს რაიმე ტიპის სერტიფიცირების მიღებას, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების 54%-სთვის ევროკავშირი სამიზნე ბაზარი არ არის. ის 38 მცირე და საშუალო საწარმო, რომელთაც ყველაზე ცოტა ერთი ტიპის სერტიფიკატი აქვს, დამატებითი სერტიფიკატების მიღებას გეგმავენ, მათი უმეტესობა კი ISO სტანდარტის სერტიფიკატის მიღებას გეგმავს. აღნიშნული ტრენდი 2017 წლის კვლევის შედეგების მონაცემებს ამყარებს, რომლის მიხედვითაც გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოები აცხადებენ, რომ არ გეგმავდნენ სერტიფიკატის ან/და რაიმე დამატებითი სტანდარტის მიღებას.

## ადგილობრივი და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოების მიზნები

გამოკითხვასთან ერთად, პროექტის ფარგლებში ინფორმაცია შეგროვდა საქართველოს ცხრავე რეგიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარებული ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრებიდან და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრიდან, რა დროსაც თბილისში ყველა ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოს წარმომადგენელი შეიკრიბა, მიზნებისა და რეკომენდაციების შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებთან განხილვის მიზნით. ადგილობრივი და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრა 2018 წლის მაისსა და ივნისში გაიმართა. საბჭოების შეხვედრის მეორე რაუნდი 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერში შედგა. ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრის მესამე რაუნდი კი, 2019 წლის თებერვალ-მარტში გაიმართა, რის შემდეგაც შედგა ოთხი სექტორული შეხვედრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან მესაქონლეობის, მეთევზეობის, მეფუტკრეობის, მეხილეობისა და მებოსტნეობის საკითხებზე. აღნიშნულმა შეხვედრებმა ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებისთვის და ოფიციალური პირებისთვის სიღრმისეული განხილვების პლატფორმა შექმნა იმ გამოწვევებზე სასაუბროდ, რაც ზემოთხსენებულ სექტორებში არსებობს. შეხვედრების შემდგომ, გაიმართა მესამე ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა 2019 წლის 6-7 მარტს თბილისში. ადგილობრივი და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრების შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები ქვემოთ არის წარმოდგენილი.

დამატებითი მონაცემები შეგროვდა რვა კაცისგან შემდგარი ფოკუს-ჯგუფების განხილვებზე, რომელიც 2019 წლის მარტში ჩატარდა. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სექტორში და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მომუშავე მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა უფრო დეტალურად განიხილეს ადგილობრივ და ცენტრალურ საკონსულტაციო საბჭოებზე წამოჭრილი საკითხები და შეფასების გასაკეთებლად საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოსა და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოს 33-მა მონაწილემ არაერთი პრობლემური საკითხი წამოჭრა, გამოიკვეთა ქვეყნის მასშტაბით მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისა და DCFTA-ის იმპლემენტაციის შემაფერხებელი რამდენიმე საერთო პრობლემა: **შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური მუშახელის არსებობა სოფლის მეურნეობის სპეციფიკის ცოდნით**, მაგალითად ვეტერინარები, აგრონომები და სურსათის უვნებლობის ექსპერტები; **ხელსაყრელი სადაზღვევო პაკეტების არარსებობა** მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის სექტორში; **ფინანსებთან და სესხებთან წვდომის სირთულეები**; **ზოგადად, DCFTA-ისთან დაკავშირებული რეგულაციების სწრაფი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია**. აღნიშნული პრობლემები რამდენიმე სექტორს ფარავს და დაკავშირებულია უფრო ფართო პოლიტიკის პრობლემებთან, რომელთა გადაჭრაც მიმდინარე რეფორმების მიუხედავად, ვერ ხერხდება.

## პროფესიული განათლება

პროფესიული განათლება მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური მუშახელის მომზადებას შრომის ბაზარზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ქმნის კრიტიკულად მნიშვნელოვან სამუშაო ძალას ქვეყანაში. თუმცა, საქართველოში პროფესიული სასწავლებლები არაერთ პრობლემას აწყდებიან, მაგალითად, არასათანადოდ აღქმული პრესტიჟი; მომავალ სტუდენტებს შორის ცნობიერების დაბალი დონე პროფესიულ ტრენინგებთან დაკავშირებით; ზოგიერთი პროფესიონალის ხარისხის პროგრამების არარსებობა; ზოგიერთ მუნიციპალიტეტსა და რეგიონში კურსებთან შეზღუდული წვდომა. ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნულმა გამოწვევებმა თანდათან შეამცირა პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლის მსურველი სტუდენტების რიცხვი<sup>11</sup>. ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან აღნიშნავენ, რომ რთულია ისეთი ახალგაზრდა პროფესიონალების დაქირავება, რომელთაც კარგად ესმით სოფლის მეურნეობა, წარმოების ციკლი ან ხარისხის მოთხოვნები.

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში არაერთი რეფორმა გატარდა კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. 2013 წელს, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა პროფესიული განათლებისა და ტრენინგების სექტორის რეფორმა (2013-2020) და დაიწყო ამ სფეროს განვითარება. რეფორმებს ხელს უწყობს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მხარდაჭერილია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისგან.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმებმა უმაღლესი განათლების სისტემაში ცვლილებების განხორციელებას შეუწყო ხელი (კორუფციისა და ნეპოტიზმის აღმოფხვრა უმაღლესი განათლების დაწესებულებებში და ა.შ.), შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობა და მათი დასაქმების დონე კვლავ დაბალი რჩება. ამასთან, საქართველოს შრომის ბაზარზე არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობის თვალსაზრისით. დამსაქმებლებს სჭირდებათ განსხვავებული კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მუშახელი, ვიდრე საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებები უზრუნველყოფენ.

ამ სხვაობის შესამცირებლად, შრომის ბაზარზე, პროფესიული განათლების დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ ისეთი პროგრამები, რომელიც პოტენციური დამსაქმებლების ინტერესებს დააკმაყოფილებს. კერძო სექტორი საქართველოს პროფესიული განათლების დაწესებულებების ძლიერი პარტნიორი უნდა გახდეს (პროფესიული-საზოგადოებრივი კოლეჯები) და მათთან ერთად იმუშაოს საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის განსავითარებლად.

პროფესიული განათლების დაწესებულებებს შორის კონკურენციის ასამაღლებლად, მთავრობამ პროფესიული განათლების სისტემაში ბიზნესის ჩართულობას უნდა შეუწყოს ხელი. პროექტში ჩართულმა რამდენიმე მეწარმემ გამოხატა მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების დაწესებულებების ჩამოყალიბებაში მათ რეგიონებში, მაგრამ მათ ასევე აღნიშნეს,

<sup>11</sup> Brief Summary of the Progress Achieved under the Vocational Education Reform in Georgia, VET Reform Progress Report, ხელმწიფისაწვდომია: <https://mes.gov.ge/uploads/VET%20Reform%20Progress%20Report%202014-2016%20EN.pdf>, წვდომის თარიღი 17.07.2019.

რომ ეს გამოწვევებით სავსე პროცესია. კერძოდ, აღინიშნა მოუქნელი ავტორიზაციის წესები, რომელიც არ ითვალისწინებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და შინაარსის მიუხედავად, ყველა საკითხს ერთსა და იმავე ტექნიკურ მოთხოვნას უყენებს.

ამასთან, იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ შრომითი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი უნარ-ჩვევები, აუცილებელია დუალური განათლების პროგრამის დანერგვა უფრო ფართო მასშტაბით. ამგვარი სისტემა, რომელიც გერმანულენოვან ევროპულ ქვეყნებში მოქმედებს, აერთიანებს კომპანიებში პრაქტიკასა და თეორიულ განათლებას პროფესიულ კოლეჯებში ერთი პროგრამის ფარგლებში. დუალური საგანმანათლებლო სისტემის კონცეფცია, უკვე არის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გეგმებში, თუმცა ჯერ არ განხორციელებულა.

### **სახელმწიფო კონტროლი სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატების წარმოებაზე, გაყიდვასა და გამოყენებაზე**

ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების მიერ წამოჭრილი პრობლემები ადგილობრივად ხელმისაწვდომი პროდუქტების ხარისხის კონტროლს ეხება. ეს საკითხი ასევე იფარება DCFTA-ით. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატები, რომლებიც მიწის და მცენარეების ნაყოფიერების გასაზრდელად გამოიყენება, საქართველოში ხშირად არასწორად მოიხმარება - ან მწარმოებლის მხრიდან საკითხის არცოდნის, ან მთავრობის მხრიდან სასოფლო-სამეურნეო გამოყენების ქიმიკატების წარმოებისა და კონტროლის არარსებობის გამო.

მთავრობამ, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, უნდა გაამკაცროს დღესდღეობით ადგილობრივ ბაზარზე არსებული მცენარეთა დაცვის საშუალებების ხარისხის კონტროლი და მკაცრი ზომები გაატაროს დაბალი ხარისხის ან/და ვადაგასული პროდუქციის დისტრიბუტორებისა და გამყიდველების მიმართ. ბაზარზე გაყიდულ ყველა პროდუქტს, თან უნდა ახლდეს ინსტრუქცია მომხმარებლებისთვის ქართულ ენაზე. კვალიფიციურმა და შესაბამისად მომზადებულმა გამყიდველებმა დაინტერესებულ პირებს კონსულტაციები უნდა გაუწიონ, პროდუქტის მოხმარებისა და დოზირების საკითხებზე. მთავრობამ უნდა შემოიღოს კონტროლის სისტემა და შეიმუშაოს მაღალი რისკის მატარებელი შხამ-ქიმიკატების ჯგუფის სია, რომლის გაყიდვაც მხოლოდ სერტიფიცირებულ გამყიდველებს შეეძლებათ.

### **დაზღვევისა და ფინანსირების სექტორები და ფინანსებთან წვდომის ინსტრუმენტები**

ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ფინანსებთან წვდომაა. ევროკავშირში პროდუქტების ექსპორტირებამდე, მნიშვნელოვანია ადგილობრივ ბაზარზე წარმატების მიღწევა და გაზრდისა და გაფართოების შესაძლებლობების ქონა. ამ კრიტერიუმის

დაკმაყოფილების შემდეგ, მცირე და საშუალო საწარმოს შეუძლია ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის დაწყებაზე ფიქრი.

ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტი მნიშვნელოვან ინვესტიციას მოითხოვს წარმოების ტექნოლოგიების დასახვეწად სურსათის უვნებლობის უფრო მაღალი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და ძვირადღირებული სერტიფიცირების/სტანდარტიზაციის პროცესის გასავლელად. მაშინ, როდესაც DCFTA-ის რეგულაციების დაკმაყოფილებისთვის მნიშვნელოვანია საწარმოო ტექნოლოგიების დახვეწა, სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან დაახლოება და ძვირადღირებული სერტიფიცირების/სტანდარტიზაციის პროცესის გავლა, მცირე და საშუალო საწარმოებს საქართველოში არ გააჩნიათ საკმარისი ოპერატიული კაპიტალი თანხები რეინვესტირებისთვის. ორი მთავარი გამოწვევა სესხის მიღებასა და კომერციული ბანკების მიერ სესხებზე დაწესებულ მაღალ საპროცენტო განაკვეთს, ასევე საბანკო სესხის გარანტიისთვის კაპიტალის მოთხოვნას უკავშირდება. ეს კი განსაკუთრებით რთულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის რეგიონებში.

ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, მთავრობამ კომერციულ ბანკებს სტიმული უნდა მისცეს განავითარონ სპეციალური პროდუქტი კონკრეტული სექტორის მოთხოვნებზე საპასუხოდ და შემდეგ ამ პროდუქტების შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდონ.

ევროკავშირი მხარს უჭერს ადგილობრივი საწარმოების ფინანსებთან ხელმისაწვდომობას EBRD-ის საკრედიტო ხაზით, რომელიც გაიცემა სს „საქართველოს ბანკისა“ და „თი-ბი-სი“ ბანკის საშუალებით. თუმცა, ამ ინიციატივის ორი ფაზის გასვლის შემდეგ, ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მოთხოვნები საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა: მათ ვერ შეძლეს დაბალი რისკის მქონე ბიზნესგეგმის მომზადება, რომელიც ბანკისთვის მისაღები იქნებოდა სესხის დაბალი საპროცენტო განაკვეთით გასაცემად. გარდა ამისა, მცირე და საშუალო საწარმოები ვერ აკმაყოფილებდნენ სესხის მოთხოვნებს კაპიტალის არქონის გამო. ამასთან, რეგიონებში გამართული დისკუსიებისას გამოვლინდა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს მაინც არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია EBRD-ის მიერ შექმნილ შესაძლებლობებზე.

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსებთან მარტივი წვდომის ერთ-ერთი საშუალება ადგილობრივ მწარმოებლებთან ფინანსური რისკის გაზიარებაა. საერთაშორისოდ წარმატებული პრაქტიკის შესაბამისად, შესაძლებელია სესხის საგარანტიო ფონდის შექმნა, რომლის საქართველოში დაარსებაც, მოქმედი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით შეიძლება. საქართველოს მთავრობამ უნდა სთხოვოს დონორ ორგანიზაციებს, განიხილონ სესხის საგარანტიო ფონდის საპილოტე პროექტის საქართველოში წამოწყების შესაძლებლობა.

## **დაზღვევის მექანიზმები**

პრიორიტეტის მინიჭების მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო სექტორი ადგილობრივი მწარმოებლებისთვის მნიშვნელოვანი რისკის მატარებელია. თუმცა, საქართველოში დღეს მოქმედი სადაზღვევო მექანიზმები მოუქნელია, ხოლო შეფასების პროცესი - ნელი. მთავრობამ, სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობით, უნდა შეიმუშავოს ეფექტური სადაზღვევო პროდუქტი სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის და ჩაატაროს ინფორმაციული კამპანია, სოციალურ მედიაში რეკლამირებითა და საზოგადოებრივი მაუწყებლის წყალობით.

ადგილობრივმა საკონსულტაციო საბჭოებმა, ასევე წამოჭრეს მოქნილი და სასურველი სადაზღვევო სისტემის არარსებობის საკითხი სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის, განსაკუთრებით კი იმ პროდუქტებისთვის, რომლებიც მეტეოროლოგიური პირობების მიმართ მოწყვლადია. კენკრის მწარმოებელი მცირე და საშუალო საწარმოები დასავლეთ საქართველოდან აღნიშნავენ, რომ ბევრ საწარმოს სურს საკუთარი ბიზნესის გაფართოება და მეტი პროდუქციის წარმოება მათ რეგიონში, თუმცა, არსებობს საფრთხე ამინდის პირობების გამო. ფოკუს-ჯგუფში მონაწილე მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლების თქმით, იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს მოსავლის დაზღვევის შესაძლებლობა, მცირე და საშუალო საწარმოები დარგავენ უფრო მეტ მოსავალს და გაფართოებაზეც იფიქრებენ. კითხვის „როგორ შეუძლია მთავრობას მცირე და საშუალო საწარმოების დაცვა ცუდი მეტეოროლოგიური პირობებისგან?“ პასუხად, ერთმა საწარმოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობამ მცირე და საშუალო საწარმოებსა და სადაზღვევო სექტორს შორის შუამავლის როლი უნდა იკისროს და მოტივაცია გაუჩინოს სადაზღვევო სექტორს, რომ მსგავს საწარმოებს კონკრეტული სადაზღვევო პაკეტი შესთავაზოს ცუდი ამინდის შემთხვევაში მოსავლის დასაზღვევად.

## **ადგილობრივ მცირე და საშუალო საწარმოებს შორის DCFTA-ისთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება**

ერთ-ერთი პრობლემა, რასაც პროექტის განმახორციელებლები გადააწყდნენ ყველა სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში, ყველა რეგიონში DCFTA-ისა და საქართველოში ამ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესზე ინფორმაციის ნაკლებობა იყო. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულ ორწლიან პერიოდში, ადამიანების დიდმა რაოდენობამ - მეწარმეებმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა - მეტი ინფორმაცია მიიღეს DCFTA-ის და რეგიონებსა და ადგილობრივ თემებში შეთანხმების მნიშვნელობის თაობაზე. თუმცა, ეს იმპლემენტაციის პროცესის მხოლოდ პირველი ეტაპი იყო. DCFTA-ის კომპლექსურობიდან გამომდინარე, შეთანხმებით დაინტერესებული სუბიექტებისთვის იქმნება როგორც შესაძლებლობები, ისე გამოწვევები.

მიახლოების პროცესი, რომელიც AA/DCFTA-ის იმპლემენტაციის ფარგლებში ჩატარდა იმას ნიშნავს, რომ არაერთი რეფორმა ხორციელდება და იცვლება რეგულაციები და მოთხოვნები ადგილობრივი მწარმოებლებისთვის. სწრაფად

ცვალებად გარემოში, საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტად უნდა იქცეს მოსახლეობისთვის მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მიწოდება. ოფიციალური ინფორმაციის არარსებობის პირობებში, ვრცელდება DCFTA-ის შესახებ არასწორი შეხედულებები და დეზინფორმაცია, რაც რეგიონებში შეთანხმების სათანადოდ განხორციელებას უშლის ხელს. მართლაც, პროექტის ფარგლებში გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლების 11%-ის თქმით, DCFTA-ის შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო ოჯახის წევრები, მეგობრები და მეზობლები არიან.

ამჟამად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული - საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრები - DCFTA-ის შესახებ ინფორმაციის ყველაზე ხელმისაწვდომი წყაროა. ცენტრები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედებენ, თუმცა, ისინი მხოლოდ სასოფლო სამეურნეო პროდუქციას ფარავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის სხვა სექტორებისთვის ინფორმაციისა და კონსულტაციის ნაკლებობაა. ამასთან, პროექტში ჩართული მცირე და საშუალო საწარმოების თქმით, ცენტრების დაბალი ეფექტურობა რესურსების სიმცირითა და დასაქმებულებისა და კონსულტანტების არასაკმარისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დონით არის გამოწვეული.

დამატებით, DCFTA-ის საინფორმაციო ცენტრები საქართველოს ხუთ რეგიონში ოპერირებენ და მათ კოორდინაციას საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა უწევს. ცენტრები სხვადასხვა სექტორებისთვისაცაა ღია, თუმცა რთულია მათზე წვდომა და არ არის საკმარისი რესურსი: ამ ეტაპზე, თითოეულ ცენტრში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს და ქვეყნის რეგიონების ნახევარში მსგავსი ცენტრები ჯერ კიდევ არ არსებობს.

არსებული ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად, საქართველოს მთავრობამ უნდა გააძლიეროს უკვე არსებული ინსტრუმენტები და განავითაროს საინფორმაციო-საკონსულტაციო არხები ყველა მწარმოებლისთვის, მათ შორის სასოფლო სამეურნეო მიმართულების და არამხოლოდ.

რესურსების სიმცირის აღმოსაფხვრელად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეუძლია ღია ტენდერების მეშვეობით შეისყიდოს (outsourcing) საინფორმაციო, საკონსულტაციო და ექსტენციის მომსახურება. ეს ინიციატივა მთავრობას საშუალებას მისცემს, გამოიყენოს არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციების შესაძლებლობები და პოტენციური სასოფლო-სამეურნეო სფეროსთან დაკავშირებული საინფორმაციო, საკონსულტაციო და ექსტენციის სერვისების უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი მწარმოებლებისათვის საქართველოში. მსგავსი ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრების კომბინირებული მართვის სისტემა უკვე არსებობს ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის სლოვაკეთში, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები და სახელმწიფოს მიერ მართული „Agroinštitút“ ოპერირებენ სპეციალიზირებულ კერძო საკონსულტაციო კომპანიებთან ერთად, რომლებიც მცირე და საშუალო საწარმოებსა და ფერმერებს კონსულტაციებს, ტრენინგებს და დამატებითი განათლების მიღების შესაძლებლობას სთავაზობენ.

არსებული საინფორმაციო მექანიზმების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა განავითაროს სასოფლო-სამეურნეო სფეროსთან დაკავშირებული საინფორმაციო,

საკონსულტაციო და ექსტენციის სერვისების მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური სისტემა. ასევე, შესაძლებელია მონიტორინგის ფუნქციის კერძო სტრუქტურებისთვის გადაბარება ღია ტენდერების საშუალებით.

ევროკავშირთან ვაჭრობა მოითხოვს, რომ მწარმოებლები მოერგონ ახალ წესებს და მიჰყვნენ დაახლოების პროცესს; შიდა რეგულაციები სწრაფად იცვლება და აუცილებელია ამ სიახლეებისთვის ფეხის აწყობა.

## რეკომენდაციები სამოგავლო მოქმედებისთვის

მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს ადგილობრივი და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრები პროექტის გავლენის შესანარჩუნებლად. ადგილობრივი და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოების ფორმატებმა ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მცირე და საშუალო საწარმოებსა და ადგილობრივ და ცენტრალურ სამთავრობო ინსტიტუტებს შორის პარტნიორობას. სამოქალაქო საზოგადოების გამოკითხვა მიუთითებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან DCFTA/SME სტრატეგიის იმპლემენტაციის მხარდაჭერის მიმართულებით გამოხატულ ინტერესსა და მოტივაციასზე. ადგილობრივმა და ცენტრალურმა სამთავრობო ინსტიტუტებმა უნდა ისარგებლონ აღნიშნული მომენტით და გახდნენ საბჭოების სპონსორები შეხვედრებისთვის ადგილის უზრუნველყოფით და სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან შესაფერისი წარმომადგენლების გამოყოფისათვის საჭირო დროის შერჩევით. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა უნდა მოახდინონ საბჭოების შეხვედრების ორგანიზება მონაწილეების დაპატიუებით, განხილული შედეგების შემაჯამებელი ანგარიშის მომზადებით და შემდგომი შეხვედრისთვის აუცილებელი დღის წესრიგის შემუშავებით. დონორებმა უნდა იფიქრონ მსგავსი აქტივობის მხარდაჭერაზე, განსაკუთრებით ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ ხარჯებთან მიმართებაში.

ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დონორებისთვის.

### რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის:

- საქართველოში კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა იმ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომელთაც საკუთარი ბიზნესის გაფართოებისა და ახალგაზრდების დასაქმების სურვილი აქვთ. მთავრობამ უნდა გააძლიეროს კერძო-საჯარო პარტნიორობა პროფესიულ სასწავლებლებში ავტორიზაციის პროცესის გამარტივებით და სასწავლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებით. დუალური განათლების პროგრამის სახელმწიფო სტრატეგიებში გათვალისწინება მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი იქნება.
- მნიშვნელოვანია ადგილობრივ ბაზარზე ხელმისაწვდომი მცენარეთა დაცვის საშუალებებზე კონტროლის გამკაცრება. მთავრობამ უნდა დაარეგულიროს სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატების გაყიდვა და ეტიკეტირება და შეიმუშაოს მაღალი რიკის მატარებელი შხამ-ქიმიკატების ჯგუფი, რომლის რეალიზაციაც მხოლოდ სერტიფიცირებულ კონსულტანტ/გამყიდვლებს შეეძლებათ.
- იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსებზე წვდომა მცირე და საშუალო საწარმოების წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა, მთავრობამ უნდა წაახალისოს კომერციული ბანკები, რომ შეიმუშაონ კონკრეტულ სექტორებზე ორიენტირებული საბანკო პროდუქტები და მოახდინოს ინფორმაციის გავრცელება მოსახლეობაში ამ სახის საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებით.

- მთავრობამ, სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობით, უნდა შექმნას ეფექტური სადაზღვევო პროდუქტები სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის, ამ სექტორში მწარმოებლების წინაშე მდგარი რისკების გათვალისწინებით. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, რომ ყველა რეგიონში მოსახლეობას ჰქონდეს ინფორმაცია მსგავს სადაზღვევო პროდუქტებზე.
- 2017 და 2019 წლების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ზოგადად საზოგადოებას, კერძოდ კი მცირე და საშუალო საწარმოებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია DCFTA-ის განხორციელებასთან დაკავშირებით. მთავრობამ პრიორიტეტად უნდა გახადოს სწრაფად ცვალებად გარემოში განახლებული ინფორმაციის გავრცელება. ამ მიზნით, სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს უკვე არსებული ინსტრუმენტები, მაგალითად, საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურები და განავითაროს საინფორმაციო საკონსულტაციო არხები ყველა მწარმოებლისთვის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით და არამხოლოდ.
- გამოიყენოს DCFTA-ისთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მზადყოფნა. გამოკითხული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთი მესამედი მხარს უჭერს რეგულარული შეხვედრების ჩატარებას მცირე და საშუალო საწარმოებისთვის DCFTA/SME სტრატეგიის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით განახლებული ინფორმაციის მისაწოდებლად. ამის მიღწევა მარტივია რეგულარული ადგილობრივი და ცენტრალური საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრებით, ან მსგავსი ფორმატებით. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ DCFTA/SME სტრატეგიის იმპლემენტაციის თაობაზე ინფორმირებულობის გაზრდისა და საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზების, მცირე და საშუალო საწარმოების წინაშე მდგარ გამოწვევებზე მსჯელობისა და მათი გადაჭრის გზებზე კონსულტაციების გამართვის მიმართულებით.

### **რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის:**

- იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტმა მცირე და საშუალო საწარმომ ნახოს სარგებელი DCFTA-ისგან, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეისწავლონ საკუთარი რეგიონის სპეციფიკა, შეიმუშაონ შესაბამისი რეკომენდაციები და საკუთარ რეგიონებში გაავრცელონ ინფორმაცია.
- DCFTA-ის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სხვადასხვა აქტორისა და დაინტერესებული მხარის ერთობლივი ძალისხმევა პროგრესის უკეთესი მონიტორინგისა და შეფასებისთვის. თითქმის შეუძლებელია ერთმა სექტორმა შეძლოს DCFTA-ის განხორციელების პროცესის გაუმჯობესება. ეს ყველაფერი გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კოალიციებისა და ექსპერტთა ჯგუფების ჩამოყალიბებას, რაც ოფიციალურ პირებზე ზემოქმედებისა და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის კი საკუთარი პრობლემების შესახებ სასაუბროდ შესაბამისი პლატფორმის შექმნის საშუალება იქნება.
- მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალურმა პირებმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მოუსმინონ. პოლიტიკის განმახორციელებლებთან

კავშირის დამყარების ყველაზე ეფექტური გზა პირდაპირ კომუნიკაციასთან ერთად, მედიისთვის საჯარო პრეზენტაციების მოწყობაა. ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების ფორმატის შენარჩუნება, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისი დაინტერესებულ მხარეებთან წვდომას უზრუნველყოფს. ამასთან, მნიშვნელოვანია ინფორმაციის მედიისთვის წარდგენა, რომელსაც მისი უფრო ფართო აუდიტორიაში გავრცელება შეუძლია. ეს კი მოსახლეობას DCFTA-ის განხორციელების პროცესთან დაკავშირებით დამოუკიდებელი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

### **რეკომენდაციები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის:**

- ქართულ მცირე და საშუალო საწარმოებს არ აქვთ ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის საკმარისი შესაძლებლობა. მათ თანამშრომლობის უფრო ეფექტური გზა უნდა მონახონ, რაც წარმოების მოცულობის გაზრდასა და ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის უწყვეტ მიწოდებას უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ წარსული გამოცდილებით, მსგავსი თანამშრომლობა რთული მისაღწევია, ის აჩენს სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის ახალ შესაძლებლობებს, მაგალითად ისეთს, როგორცაა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც ძირითადად მსხვილ მწარმოებლებზეა ფოკუსირებული.
- პროექტში ჩართული მცირე და საშუალო საწარმოების უმრავლესობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია მხარდაჭერის არსებულ მექანიზმებსა და პროგრამებზე. ამასთან, ქარბობს წინა პროგრამის უარყოფითი გამოცდილებაც, რის გამოც საწარმოები ახალი ინიციატივების აღმოჩენისა და მათ მიმართ ნდობის ჩამოყალიბებისგან თავს იკავებენ. მცირე და საშუალო საწარმოებმა უფრო მეტი უნდა შეიტყონ არსებული მხარდაჭერის შესაძლებლობების შესახებ. ადგილობრივ და ცენტრალურ საკონსულტაციო საბჭოების ფორმატთან და ერთმანეთში ინფორმაციის გაცვლასთან ერთად, მცირე და საშუალო საწარმოები მეტად უნდა ჩაერთონ ადგილობრივ ადმინისტრაციებთან, საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრებთან და ბიზნესის პოპულარიზაციისა და კონსულტაციის სააგენტოებთან მუშაობაში.
- საშუალო ზომის საწარმოები, განსაკუთრებით კი რეგიონში მდებარე საწარმოები, უნდა ჩაერთონ დუალური განათლების პროგრამის დანერგვის პროცესში, ადგილობრივ სასწავლებლებთან თანამშრომლობის მიმართულებით და ხელი შეუწყონ მცოდნე და გამოცდილი სამუშაო ძალის განვითარებას.
- პროექტში ჩართული მცირე და საშუალო საწარმოებმა გააცნობიერეს ადგილობრივ და ცენტრალურ საკონსულტაციო საბჭოებში, როგორც ინფორმაციის გაცვლისა და ცვლილებების ადვოკატირების პლატფორმაში მონაწილეობის სარგებელი. არსებობს დიდი ალბათობა, რომ მთავრობა მათ რეკომენდაციებს მოუსმენს და ყურადღებას მიაქცევს პრობლემებს, როდესაც საკითხის ადვოკატირებას უფრო დიდი ჭკუფი ახდენს. საკუთარი პოზიციის გასამყარებლად და მიმდინარე რეფორმების ერთობლივი მონიტორინგის მიზნით, მცირე და საშუალო საწარმოებმა თავიანთი აქტივობების კოორდინაცია უნდა მოახერხონ ისეთ ფორმატებში, როგორცაა ბიზნეს ასოციაციები. ბიზნესის მფლობელებმა უფრო მეტად

უნდა ითანამშრომლონ მცირე და საშუალო საწარმოებთან ადვოკატირების  
კამპანიების გაძლიერებისთვის ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე.

## პროექტის პარტნიორები



„აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრი“ (EESC)  
ვილნიუსი, ლიტვა, [www.eesc.lt](http://www.eesc.lt)



საქართველოს „ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია“ (ABC Georgia საქართველო)  
თბილისი, საქართველო, [www.abco.ge](http://www.abco.ge)



„საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი“ (GIP)  
თბილისი, საქართველო, [www.gip.ge](http://www.gip.ge)



GLOBSEC  
ბრატისლავა, სლოვაკეთი, [www.globsec.org](http://www.globsec.org)



ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“  
ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველო, [www.intellect.org.ge](http://www.intellect.org.ge)



„ატინატი“  
ზუგდიდი, სამეგრელოს რეგიონი, საქართველო, [www.atinati.org](http://www.atinati.org)



„კავკასიის გენეტიკა“  
სიღნაღი, კახეთის რეგიონი, საქართველო

## პროექტის მხარდამჭერები



EU4Business



SlovakAid  
GOOD IDEA SLOVAKIA



LITHUANIAN  
DEVELOPMENT  
COOPERATION